# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 16 ივნისი 1995 № 33 (171) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჰიუსტონში ზეიმი აქვთ!

ოთხშაბათ საღამოს ამერიკაში ნაადრევად დასრულდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალური სერია, რომელიც, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, შვიდ მატჩამდეც კი გაიწელებოდა. ასე არ მოხდა იმის გამო, რომ კვლავ იძალა შარშანდელი ჩემპიონის „ჰიუსტონ როკიტსის“ ცენტრმა აკიმ ოლაჯუონმა, ვინაც გუშინწინ 35 ქულა მოაგროვა და თავისიანებს 113:101 გაამარჯვებინა სტუმარ „ორლანდო მეჯიქთან“. მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩის გუნდმა სერია 4-0 დაასრულა, რაც ასოციაციისთვის ახალი ხილი არაა: მსგავსი აქამდე ხუთჯერ მომხდარა, ბოლოს — 1989 წელს, როცა „დეტროიტმა“ დაამარცხა „ლოს-ანჯელეს ლეიკერზი“.

წელს „ჰიუსტონელმა რაკეტებმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტული, თუმცა არც ამ მხრივ არიან პიონერები: მანამდე ოთხ გუნდს შეუსრულებია ამავე ყაიდის დუბლი, ორს — „მინეაპოლისსა“ და „ჩიკაგოს“ ზედიზედ სამჯერ მოუგია ჩემპიონობა, ხოლო „ბოსტონ სელტიქსს“ — ზედიზედ რვაჯერაც!



## წლებს შენთან რა ხელი აქვთ, დონ ხუან!



ბუდაპეშტში, 104-ე სესიაზე შეკრებილან მსოფლიო სპორტის მამები — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) წევრები, რათა, სხვათა შორის, 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელიც აირჩიონ.

სხვათა შორისო, იმიტომ შევნიშნეთ, რომ მსოფლიოს უელიტარულესი და უმასონურესი კლუბის წევრებს რაღაც ზამთრის ოლიმპიადაზე მეტად სულ სხვა საკითხი ადარდებთ — სოკ-ის წევრის ასაკის ზედა ზღვარი.

საქმე ისაა, რომ ამ ათი წლის წინ თავად სამარანჩმა დაადგენინა, 75 წელს გადაცილებული მოღვაწეები სოკ-იდან უნდა გაირიცხონო. ახლა თავად მაფიოზი პრეზიდენტი მოყრილა ამ ასაკისა, მაგრამ ვერც თავად ელევა სკამს და ვერც მას ელევიან თანმეინახენი.

ჰოდა, ამათაც უაზრიათ და სამარანჩისა და იქნებ სხვათა სოკ-ში დასატოვებლად გუშინ აპირებდნენ წესდების შეცვლას. არჩევანი სამი ჰქონდათ: ან საერთოდ უნდა გაეუქმებინათ ასაკის შეზღუდვა, ან მხოლოდ პრეზიდენტისთვის მოეხსნათ ეს წყეული ლიმიტი, ანაც მაქსიმალური ასაკი 78 წლამდე აეყვანათ.

სამარანჩი პირველად როდი დამდგარა ამგვარი დილემის წინაშე. 1992 წელსაც დაუპირებია სოკ-ისთვის თავის მინებება, მაგრამ თანამოძმეთა რჩევით გადაუფიქრია, ემანდ ჩემმა წასვლამ მსოფლიო სპორტული ოჯახის ერთიანობას არ ავნოსო.

უეჭველია, რომ წესი წუხელვე მოერგებოდა პრეზიდენტს და მსოფლიო სპორტიც მისი ბრძნული წინამძღოლობით შეაბიჯებს XXI საუკუნეში.




## ბუტია სპრინტერი

ლინფორდ ქრისთი ყველაფრის ჩემპიონია: ოლიმპიადის, მსოფლიოსი, ევროპისა თუ ბრიტანეთის თანამეგობრობის, მაგრამ მედია მაინც ღვარძლიანად იკითხავს ხოლმე, უკვე მობერდა და ნეტავ როდის დაანებებს დიდ სპორტს თავსო.

არც ბრიტანეთის მძლეოსნობის ხელისუფალნი სწყალობენ ზანგ მორბენალს: გაუთავებლივ ედავებიან შინაური შეჯიბრებების ფულადი პრიზების გამო, ამ ორშაბათს კი ქვეყნის ვაჟთა ნაკრების კაპიტნობიდან მოხსნაც კი დაუპირეს ექვსწლიანი ზეობის შემდეგ. ქრისთიმ წლევანდელი სეზონი ცუდად დაიწყო: 100 მეტრზე ხუთი გარბენიდან ოთხში ვერ გაიმარჯვა, რამაც გაწბილებულ სპორტსმენს ერთ-ერთი კერძო რეგიონული ტელეარხით გამოსვლისას განაცხადებინა, წლის ბოლოს სპორტს თავს მივანებებ და ატლანტაში აღარ ვიასპარეზებო. ბრიტანული მძლეოსნური სამყარო შეწუხდა. ქრისთი და სალი განელი ციმციმ დაამტკიცეს ნაკრებების კაპიტნებად ევროპის თასისთვის, ლილში რომ უნდა გაიმართოს. ყველაფრის და მიუხედავად, ლინფორდი მაინც უპირველეს ფავორიტად რჩება აგვისტოსათვის დაგეგმილი გეტებორგის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.



„ქურციკები“ კობუს ვიზეს დერეფნის მოგებაში ეხმარებიან

RUGBY WORLD CUP

ხვალინდელი ნახევარფინალისთვის სამხრეთაფრიკელ „ქურციკთა“ შემრჩევლებმა დიდი რისკი გასწიეს. ახსოვთ რა, თუ როგორ წააგეს დერეფანი 1993 წლის სამხრეთი აფრიკა — საფრანგეთის ტესტ-სერიაში, შერკინებაში დამატებით ერთი მაღალიც შეიყვანეს: მარკ ენდრიუზი მეორე ხაზიდან 8 ნომრად გადაიყვანეს, მის მაგივრად კი ჰანეს სტრაიდომი დააწინაურეს. მოზვერივით 8 ნომერი რუდი სტრაული სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. სასწაულებრივ მომჯობინდნენ ხელის ძვალგატეხილი ანდრე ჟუბერი, აგრეთვე ჯოელ სტრანსკი და ჯეიმზ სმოლი. თხუთმეტეულიდან დაითხოვეს გევინ ჯონსონი და იაპი მულდერი, ჰენი ლერუ კი 12 ნომრად გადაიყვანეს. ფრანგებმა ერთადერთი მოთამაშე შეცვალეს: 10 ნომრად კრისტოფ დეილოს სუსტი თამაში 9 ნომერ ობენ უებერს დაბრალდა, რის შემდეგაც შერკინების ნახევარმცველობა დაეკისრა ფაბიენ გალთიეს, რომელიც „მამლებმა“ მკლავმოტეხილი გი აკოსებერის ნაცვლად აიმატეს. გალთიეს ნაკრებში აქამდე 14-ჯერ უთამაშია და რაკი ამჟამად სამხრეთ აფრიკაში მავან იქაურ კლუბში ირიცხება, მწვრთნელ ბერბიზიეს პირველად სწორედ იგი მოჰგონებია.

ინგლისმა და ახალმა ზელანდიამ გუნდების გამოცხადება ერთი დღით გადადეს, „ქურციკების“ 9 ნომერმა იუსტ ფანდერვესტჰოიზენმა კი მანუ სამოას კაპიტან პეტ ლემს სასამართლოში უჩივლა, აქაო და ცილსა მწამებს, მეოთხედფინალში თან მაგინა და თანაც მცემაო.

ჩვენს შინაურ ჩემპიონატში კი გამოუცხადებლობა მოხშირდა. დადგა ივნისი და „აიეტი“ არ ეწვია „გუმარს“, „დელფინები“ — „უნივერსიტეტს“, „აზოტი“ — „აიას“, „გელათი“ კი — ისევ და ისევ „უნივერსიტეტს“. თუ ასე გაგრძელდა, ამერსა და იმერს შორის დიდი რიხით აღდგენილი კავშირი ისევ გაწყდება და ორივე მხარე კვლავ საკუთარ ნაჭუჭში გამოიკეტება.

ოთხშაბათს „თბილისმა“ სტუმრად დაამარცხა „აიეტი“ 42 (15) (7ლ, 2გ, ა) : 3 (3) (ს).

## დიდი ოთხეულის შერკინება

რაგბის მსოფლიო თასისა და შინაური ამბების გამო იხილეთ მეშვიდე გვერდი



# აღთქმული მიწიდან გამოქცეული

მთავარ მრეტს უიღბლობა თან დაჰყვება, ტრავმებს და სხვა ათას ხელისშემშლელ მიზეზს ახლა ავტორის გაცურებაც შემატებია. ბუბა ტყავაძე ახლახან დაბრუნდა ისრაელიდან და აღთქმულ ქვეყანაზე გადანახადს მიყვება...

— თელ-ავივთან ახლოს, პატარა ქალაქ ლოდის „აპოელში" ერთი სეზონის სათამაშოდ ჩავედი. ცოლ-შვილიც თან მახლდა. დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ქალაქში ყველა გვცნობდა, ბინა და ავეჯი ჩემი შეკვეთით დამახვედრეს, „ჯორჯი" შემარქვეს და ისეთი ზარზეიმით დამხვდნენ, ვიფიქრე, ეს რა სამოთხეში მოვხვედრილვარ-მეთქი. მაგრამ სეზონი და ჩემი იმედგაცრუება ერთდროულად დაიწყო. ჩვენი გუნდი უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად იბრძოდა, პირველი ორი მატჩი მოვიგეთ, გოლებიც შევაგდე, სულ გადაირია მაყურებელი. მაგრამ, მერე და მერე, არც ხელფასი მოგვცეს, არც პრემია, სამი ტურის შემდეგ ჩვენი საუკეთესო თავდამსხმელი ოფირ შიტრატი ხაიფის „მაკაბიში" გადავიდა და უმაღლესი დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა 18 გოლით. ჩვენ კი ოთხი მწვრთნელი გამოგვეცვალა, ყველა უფულობის გამო გვტოვებდა. გუნდი ქალაქის მერიას ეკუთვნოდა, პრეზიდენტი კი არაბი ჰყავდა, კლუბს თურმე კაპიკი არ ჰქონია ანგარიშზე, ჩეკებს კი უხვად არიგებდა. ეს თურმე ჩვეულებრივი მოვლენაა ისრაელში. ჩამოსულებს, რუსები იქნებიან თუ სხვები, ყველას ატყუებენ. გოჩა ტყებუჩავასაც იგივე დამართა აშდოდის „მაკაბიმ", მაგრამ გოჩა მაინც დარჩა იმ იმედით, იქნებ მომავალ სეზონში ავანაზღაუროო. მოკლედ, ისრაელში ბლომად არიან აფერისტები და გამომძალველები. ერთი სული მქონდა, როდის წამოვიდოდი. რიგით მეხამე მწვრთნელმა კაპიტნობა მიბოძა, შემდეგ თამაშზევე მივუგდე სამკლაური — ხელფასი გადამიხადეთ-მეთქი. სამი მატჩი დემონსტრაციულად ვიდექი მინდვრის ცენტრში სხვა მოთამაშეებმაც იგივე ქნეს, ძალით წავაგეთ, ერთი თამაში საერთოდ არ გამოვედი მინდორზე, მაგრამ არაფერმა გაჭრა, დანაპირები არ მოუციათ. არც ადვოკატის აყვანა შველის საქმეს — ისეთი გაქნილები არიან, რომ იტყვიან, ქვას წვენს გამოადენენ. მოკლედ, წამოსვლა სანატრელი გამიხდა. ათ შეგდებულ გოლსღა დავყაბულდი...

**— საქართველოში ტერორისტული აქტების მომსწრეს იქაურ აფეთქებებთან შეგუება არ უნდა გაგჭირვებოდა...**

— ამასწინათ არაბებმა ავტობუსი ააფეთქეს, მთელი მსოფლიო შეიძრა. ჰოდა, ორი დღით ადრე ზუსტად იმ ავტობუსით მე და ჩემი მეუღლე დავსეირნობდით...

**— ისრაელიდან ერთი კარგი შთაბეჭდილება მაინც არ გამოგყოლია?**

— ერთადერთი დაუვიწყარი შთაბეჭდილება ჯვრის მონასტერი იყო. როცა გაიგეს, რომ ქართველ მართლმადიდებელს უნდოდა მონასტრის მონახულება, ჩარაზული კარი გაალეს, გახარებულები მეკითხებოდნენ, მართლა ქართველი ხარო... იქ ლოცვა მართლაც ამაღელვებელი და დაუვიწყარი იყო...

**— ისრაელში ნაკრების და კლუბების სენსაციური გამარჯვებების კვალობაზე ფეხბურთი ალბათ პოპულარულია...**

— პოპულარულიაო? ფეხბურთისადმი მსგავს სიყვარულს სხვაგან ალბათ ვერსად შეხვდები. პირველი, სამთავრობო არხზე დილას პირველი დივიზიონის ცენტრალურ თამაშს უჩვენებენ, შუადღისას — უმაღლესი დივიზიონისას, რომლის დამთავრების შემდეგ ორ-სამსაათიანი ტურის მიმოხილვებია, მინდვრები ჩინებულია, სტადიონებიც, ხალხიც ბლომად ესწრება. დანარჩენი არხები ხომ სულ ფეხბურთით ცხოვრობენ...

**— საფეხბურთო თვალსაზრისით ჩვენგან ძალიან განსხვავდებიან?**

— სხვათა შორის, ძალზე ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, არც ველოდი. ტაქტიკა კი უცნაური აქვთ — ოთხი მცველი, ამათ წინ ორი ნახევარმცველი მერე კიდევ ორი შემტევი ფეხბურთელი და შეტევის წინა ხაზზე ორი ფორვარდი. საკმაოდ უხეშადაც თამაშობენ, მეც ხშირად მირტყამდენენ ფეხებში, ტყებუჩავასაც ბევრი მოხვდა.

**— ფინანსური პრობლემები ბევრ კლუბს აწუხებს?**

— ისრაელში 4-5 კლუბია, ფინანსურად სტაბილურად ძლიერი რომ ეთქმის. დანარჩენები კი ლატარიასავით არიან — დღეს თუ ულხინს, ხვალ შეიძლება გაკოტრდეს და პირიქით. როდესაც ჩემს კლუბს ფინანსურად ცუდად წაუვიდა საქმე, უმაღლესი დივიზიონიდან შემომთავაზეს, ჩვენთან გადმოდიო, მე უარი ვუთხარი, რადგან შეიძლება ახალ გუნდშიც იგივე განმეორებულიყო.

**— ძალიან გაგჭირვებია, არადა, სამოთხეაო იქ, ასე ვიცოდით...**

— ტიპიური აზიური ქვეყანაა ტიპიური კონტრასტებით — ჩვენი „მეტეხის" მსგავსი სასტუმროები, „ბაბილონისნაირი" სუპერმარკეტები და მათხოვრები, ბუზებივით რომ ირევიან. ამათი უმეტესი ნაწილი, ისევე, როგორც დამნაშავეთა სამყაროს, აფრიკიდან არიან ისე, „ქართული მომენტებსაც" წავაწყდი — [illegible]ერთხელ, უნდოდა თუ არა, ქალაქის მერის [illegible] ვაჟი ძირითადში უნდა მოეხვედრებინა...

**— ურთიერთობას რა ენაზე ახერხებდი?**

— ინგლისურად, მერე ებრაულიც ვისწავლე. ჩემმა ხუთი წლის მიშიკომ კი ჩვენც და სკოლის მასწავლებლებიც გადაგვრია: პირველი კლასი ერთადერთმა დაამთავრა ჭარბიანებით, თანაც ებრაულ ენაზე!

**— ლეგიონერი თუ გყავდა კლუბში?**

— ერთი ბრაზილიელი [illegible] იყო, ვახლობლობდი, ვიცოდი ეს მაინც არაფერს მომატყუებდა...

**— საფეხბურთო თვალსაზრისითაც არაფერი შეგიძენია ისრაელში გატარებულ სეზონში?**

— შემძინა კი არა, ამ ერთ წელიწადს კარიერიდან კი არა, ცხოვრებიდანაც [illegible]კარგულად ვთვლი...

**— ახლა საით გაემგზავრები?**

— ახლა უკვე სერიოზულად ვემზადები უცხოეთისთვის, ერთ კვირაში წავალ, მაგრამ ვერ გეტყვი სად, ცუდად მაქვს დღდილი. ისე ჩემმა მენეჯერმა ისრაელში ევროპიდან რამდენიმე მოწვევა მომიტანა, ის კი არა, სამი ურუგვაელი სელექციონერიც კი იყო ჩამოსული ჩემს წასაყვანად, მაგრამ მირჩევნია ჩემს საქმეებს თავად მოვხედო. ისრაელში წამსვლელებს კი ვურჩევ თუ არ გადაიფიქრეთ, ბევრი მაინც იფიქრეთ, მერე გვიან არ იყოს...

მამუკა კვარაცხელია

# „კაუჩუკას" დაბრუნება

პირველ და მეორე ეროვნულ ჩემპიონატებში საქართველოში მოასპარეზე ლეგიონერთა რიცხვი სამ ათეულს აღწევდა, ვის აღარ უთამაშია ჩვენში, მერე და მერე კი ცხოვრებაც უკან წავიდა, ფეხბურთიც და ლეგიონერებიც. სამი ჩემპიონატი ისე ჩათავდა, საქართველოსკენ პირი არავის უქნია. ამიტომაც გამიკვირდა, დავით ყიფიანმა რომ განაცხადა, შესაძლოა, „დინამოში" გიორგი ძნელაძემ ითამაშოსო. გიორგი, მეტსახელად კაუჩუკა, სამი წელია რუსეთშია, ჯერ სამარის „კრილია სოვეტოვში" გამოდიოდა, მერე სარატოვის „სოკოლში": რა პირობები აქვს რუსეთში მოასპარეზე ფეხბურთელებს, საკუთარი თვალით ვნახე და აკი სწორედ პირველად ეს ვკითხე „კაუჩუკას", საქართველოში რატომ დაბრუნდი-მეთქი.

— ნოდარ აკობიასგან გავიგე „დინამოში" ყიფიანის დანიშვნის ამბავი და მისგანვე მივიღე სიტყვიერი მიწვევა. „დინამო" მაინც „დინამოა" და თუ ყიფიანი ჩათვლის, რომ გამოვადგები, სიხარულით ჩავიცვამ „დინამოს" მაისურს, თუ არა, ისევ რუსეთს მივაშურებ. ივნისის ბოლოს გაირკვევა, ვრჩები თუ არა „დინამოში", ამასობაში რუსეთში პირველი წრეც დამთავრდება და გავარკვევ, რომელ კლუბში ვითამაშებ.

**— კვლავ ლიბეროდ თამაშობ?**

— ორივე სეზონი „სოკოლში" ორმოცდაათამდე მატჩი ამ ამპლუაში გამოვდიოდი. ისე, წინა მცველადაც მითამაშია.

**— ერთხელ სამარელი ზურაბ წიკლაურის შესახებ მითხარი — დიდ ფეხბურთს ითამაშებსო. წიკლაურმაც უცებ შეგვახსენა თავი: რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეცხრე ტურში ნახევარ საათში სამი გოლი გაუტანა „დინამო-გაზოვიკს", შემდეგ საგოლე პასი მისცა და მატჩის მერე თქვა: ჩემი თამაში აწი ნახეთო... კიდევ რას გვეტყვი მის შესახებ ახალს?**

— მამა-პაპა კასპელი ჰყავს, თავად სამარაშია დაბადებული, ქართულიც იცის, მაღალი, მკვრივი აღნაგობის ფორვარდია. ბურთს მიიღებს თუ არა, ჯიქურ მცველისკენ მიიწევს, და უმეტეს შემთხვევებში ატყუებს კიდეც. ოცი წლისაა, იმდენად ნიჭიერია, არა მგონია, სამარაში დიდხანს გააჩერონ. ვფიქრობ, არც საქართველოს ნაკრებში შეირცხვენს თავს, თუ მიიწვიეს.

**— მოსკოვში თასის მეოთხედფინალში, ცოტას გაწყდა, „სპარტაკი" არ დაამარცხეთ.**

— 3:1 ვიგებდით, სპარტაკელებმა ბოლოსღა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და მხოლოდ დამატებით დროში მოგვიგეს. ჩემს მაშინდელ თანაგუნდელ ტერიოხინს, ახლა მოსკოვის „დინამოს" და რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რომაა, პატარა იღბალი რომ ჰქონოდა, მოსკოვიდან ხელცარიელები არ წამოვიდოდით.

**— შარშან ერთი ხანობა ლიდერთა შორის იყავით და სერიოზულადაც გეგმავდით უმაღლეს ლიგაში გადასვლას. რამ შეგიშალათ ხელი?**

— ბოლო თვეებში კლუბს ფული შემოელია და ეს შედეგებსაც დაეტყო. მერე კი მივიღეთ შეპირებული თანხა, მაგრამ დანაკარგი ველარ ავინაზღაურეთ და მეხუთე ადგილზე გავედით. არადა, „როსტსელმაშსაც" და „ჩერნომორეცსაც", უმაღლესის საგზურები რომ მოიპოვეს, სამ-სამი ქულა ავართვით.

**— ქართველთაგან ახლა რუსეთის პირველ ლიგაშიც ბევრი თამაშობს. შენ ვის გამოჰყოფდი?**

— უპირველეს ყოვლისა, სტავროპოლის „დინამოს" მეკარე ზურაბ სანაიას. ჩემი დაკვირვებით, იგი აკაკი დევაძეს არ ჩამოუვარდება. ეგაა, ახლა ბოტკინი აქვს და მკურნალობს. საერთოდ, ვინც წავიდა რუსეთში, ყველამ კარგად ითამაშა, მეც შევეჩვიე რუსეთს, ერთადერთი კლუბი თბილისის „დინამოა", რომელშიც დავრჩები, თუ არა და, ისევ რუსეთს მივაშურებ...

მამუკა კვარაცხელია





გიორგი შენგელია

# შავი ზღვა, დოლები, გოლები

რა საერთო უნდა ჰქონდეს ტრაპიზონში არსებულ შავი ზღვის ქვეყნების ტექნიკურ უნივერსიტეტს „ყარადენიზს" (შავი ზღვა) საქართველოს დამოუკიდებლობასთან? თურმე უნივერსიტეტი 26 მაისს დაუარსებიათ და რაკილა ეს ღირშესანიშნავი მოვლენა ზუსტად 40 წლის წინათ მომხდარა, „ყარადენიზის" რექტორმა აიდინ დუმანოღლუმ შავიზღვისპირა ქვეყნების უნივერსიტეტთა საფეხბურთო ნაკრებების ტურნირის ჩატარება განიზრახა. საქმე უმალ მოაგვარა და ქართველებსაც შეეხმაურა. რაკილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის „დინამოს" არაერთი ახალწვეული სწავლობდა, გადაწდა რომ ნაკრებიც ამ სასწავლებლის ბაზაზე, ამ ბიჭებით დაკომპლექტებულიყო. ნაკრების მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე სწორედ ამ ტურნირზე გვესაუბრა:

— ტრაპიზონს თხუთმეტი ფეხბურთელი წავიყვანეთ: გიორგი გაბელია, დათო ასლანიძე, დათო ელისაშვილი, გელა ქორიძე, შალვა ხუჯაძე, არჩილ სახვაძე, ზაზა ზამთარაძე, თორნიკე მაისურაძე, მიხეილ მაზიაშვილი, დათო მუჯირი, გოჩა ტრაპაიძე, გიორგი შენგელია, რატი ალექსიძე, გიორგი დავითნიძე და ნიკა ყიფიანი. ქვეჯგუფში მოვუგეთ აზერბაიჯანს 1:0 (გოლი ტრაპაიძემ შეაგდო), მოლდოვას 3:1 (ელისაშვილი — 2, ალექსიძე), ტრაპიზონის „ყარდენიზთან" კი 0:4 დავმარცხდით. ნახევარფინალში სტამბულის უნივერსიტეტი დავამარცხეთ — 2:0 (შენგელია, ალექსიძე) და 26 მაისს ფინალში კვლავ ტრაპიზონის უნივერსიტეტთან წავაგეთ 1:3 (ტრაპაიძე). ნიკა ყიფიანმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ალთაის „ზამირში" გაემგზვრა, სადაც დღე-დღევზე ხელს მოაწერს კონტრაქტს, თურქებმა ტრაპაიძეს, ქორიძეს და ალექსიძესაც დაადგეს თვალი და არაა გამორიცხული, ისინიც მიიწვიონ.

ტრაპიზონელთა გამარჯვება კანონზომიერია, მათ ხომ 24-25 წლის მოთამაშეები ჰყავდათ, ჩვენ კი 16-18 წლის ბიჭებით ჩავედით. თან მოცეკვავეთა გუნდი გვახლდა, რომლებიც დოლებით გვამხნევებდნენ, თურქებმა კი, დოლები ასე არ უნდაო, ზუსტად ორი მეტრის დიამეტრიანი დოლი მოიტანეს და იმას უბრაგუნებდნენ. თქვენს ყველა მატჩს ესწრებოდნენ ტყუპი არველაძეები და ყოფილ თანაგუნდელებს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ...

მამუკა კვანტალიანი

# ეღირსება ბათუმს ევროფეხბურთი?

13 ივნისს ფეხბურთის ფედერაციაში თბილისის „დინამოს", „სამტრედიისა" და „ბათუმის" წარმომადგენლობა ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდნენ ამ გუნდების ევროთასებზე სავარაუდო მონაწილეობის თაობაზე. „ბათუმის" გეგმებზე ვესაუბრეთ გუნდის მეორე მწვრთნელს ვალერი მაჩხელიანს.

— გუნდი თვის ბოლოს შეიკრიბება და მზადებასაც ამ პერიოდიდან დავიწყებთ. შეკრებას ალბათ ბათუმში მოვაწყობთ, ხოლო თუ თასების თასზე დაგვიშვეს, არაა გამორიცხული, მზადების ერთი ციკლი საზღვარგარეთ გავიაროთ. გუნდიდან არავინ წასულა, ერთი-ორი მოთამაშის დამატება კი გვინდა, მაგრამ ეს იოლი საქმე არ გახლავთ — პირველი ჯგუფის სხვა კლუბებიც ცდილობენ კარგი ფეხბურთელების გადაბირებას. მოკლედ, დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ახალ სეზონში ბათუმი სამეულში მოსახვედრად და თასის მოსაპოვებლად იბრძოლებს. რაც შეეხება ევროთასზე ჩვენი დაშვების საკითხს, ეს გადაწყვეტილება უეფას 10 ივლისის სხდომაზე გადაწყდება, სადაც მონაწილეთა საბოლოო სიაც დადგინდება. როგორც ვიცი, მხოლოდ თბილისის „დინამოს" არ გააჩნია პრობლემა, იგი შესაძლოა საკვალიფიკაციო ეტაპის გაუვლელადაც ჩართონ უეფას თასის გათამაშებაში.

საქართველოს ჩემპიონატი. II ჯგუფი

## დასავლეთი

21-ე ტური 22, 23 მაისი: საჩინო — შუქურა 2:4, კახაბერი — ეგრისი 2:1, მეშახტე — მერცხალი 4:1, უნივერსიტეტი — სქური 7:5, იმერეთი — სამეგრელო 3:2, ბახმარო — მაღაროელი 2:0

22-ე ტური 27, 28 მაისი: შუქურა — ბახმარო 3:2, მაღაროელი — უნივერსიტეტი 3:0, სამეგრელო — მეშახტე 3:0 (მეშახტეს წაგება ჩაეთვალა), ეგრისი — საჩინო 4:0, სულორი — იმერეთი 2:3, მერცხალი — კახაბერი 0:0

23-ე ტური 31 მაისი, 1 ივნისი: სულორი — სამეგრელო 3:0 (არ გამოცხადდა), იმერეთი — სქური 2:1, უნივერსიტეტი — შუქურა 2:1, ბახმარო — ეგრისი 0:1, საჩინო — მერცხალი 3:0, კახაბერი — მეშახტე 5:2

24-ე ტური 5, 6 ივნისი: სქური — სულორი 3:0, მაღაროელი — იმერეთი 4:1, სამეგრელო — კახაბერი 0:1, მეშახტე — საჩინო 4:2, მერცხალი — ბახმარო 2:0, ეგრისი — უნივერსიტეტი 3:2

25-ე ტური 10 ივნისი: სქური — სამეგრელო 1:0, სულორი — მაღაროელი 1:1, უნივერსიტეტი — მერცხალი 5:2, საჩინო — კახაბერი 1:4, იმერეთი — შუქურა 3:0 (არ გამოცხადება), ბახმარო — მეშახტე 5:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 23 | 19 | 1 | 3 | 52-16 | 58 |
| კახაბერი | 23 | 17 | 2 | 4 | 44-23 | 53 |
| მეშახტე | 23 | 17 | 1 | 5 | 69-40 | 52 |
| ბახმარო | 23 | 12 | 2 | 9 | 41-28 | 38 |
| მერცხალი | 24 | 11 | 3 | 10 | 34-36 | 36 |
| მაღაროელი | 23 | 10 | 3 | 10 | 40-34 | 33 |
| სამეგრელო | 23 | 10 | 0 | 13 | 26-32 | 30 |
| უნივერსიტ. | 23 | 10 | 0 | 13 | 47-52 | 30 |
| სქური | 23 | 9 | 2 | 12 | 38-43 | 29 |
| სულორი | 23 | 8 | 3 | 12 | 44-50 | 27 |
| იმერეთი | 23 | 7 | 3 | 13 | 26-40 | 24 |
| შუქურა | 23 | 5 | 1 | 17 | 30-57 | 16 |
| საჩინო | 23 | 4 | 1 | 18 | 23-69 | 13 |

ეგრისმა მოიპოვა I ჯგუფის საგზური

## აღმოსავლეთი

26-ე ტური 22, 23 მაისი, 7 ივნისი: ქიზიყი — შირაქი 2:2, ასკ — მერანი 91 2:3, აზოტი — მერანი ბაჩო 3:4, ალაზანი — გვარდია 2:1, მესხეთი — არაგვი 5:0, სიონი — თორი 3:0, ზოოვეტი — ჭაბუკიანი 3:0, მრეტები — ავაზა 0:0

27-ე ტური 30, 31 მაისი: შირაქი — აზოტი 3:1, ჭაბუკიანი — სიონი 1:3, კრწანისი — ზოოვეტი 2:3, გვარდია — მრეტები 0:1, თორი — მესხეთი 4:7, არაგვი — მერანი 91 2:4, ქიზიყი — ასკ 0:3, მერანი ბაჩო — ალაზანი 1:2

28-ე ტური 11 ივნისი: ასკ — არაგვი 2:0, ზოოვეტი — გვარდია 3:2, ალაზანი — შირაქი 2:1, მერანი 91 — თორი 4:0, მესხეთი — ჭაბუკიანი 3:0 (არ გამოცხადება), მრეტები — მერანი ბაჩო 3:1, აზოტი — ქიზიყი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 28 | 21 | 4 | 3 | 78-21 | 67 |
| მესხეთი | 28 | 21 | 4 | 3 | 69-32 | 67 |
| მერანი 91 | 28 | 20 | 5 | 3 | 61-18 | 65 |
| ზოოვეტი | 27 | 19 | 4 | 4 | 69-29 | 61 |
| მერანი-ბაჩო | 28 | 13 | 6 | 9 | 58-37 | 45 |
| შირაქი | 28 | 11 | 3 | 14 | 34-40 | 3[illegible] |
| ასკ | 28 | 10 | 5 | 13 | 37-45 | 35 |
| აზოტი | 28 | 9 | 8 | 11 | 38-40 | 35 |
| ქიზიყი | 28 | 8 | 8 | 12 | 38-52 | 32 |
| გვარდია | 28 | 8 | 7 | 13 | 37-42 | 31 |
| მრეტები | 28 | 7 | 7 | 14 | 33-54 | 28 |
| არაგვი | 28 | 6 | 8 | 14 | 31-53 | 26 |
| თორი | 27 | 7 | 4 | 16 | 28-64 | 25 |
| ალაზანი | 28 | 7 | 4 | 17 | 30-58 | 25 |
| ავაზა | 28 | 6 | 7 | 14 | 34-60 | 25 |
| ჭაბუკიანი | 28 | 7 | 2 | 19 | 20-59 | 23 |



## «ᲓᲘᲜᲐᲛᲝ» – 1994-95

დიდავა — 27 მატჩი, იაშვილი — 24 (24 გოლი), ზოიძე — 23(20 გაშვებული გოლი), ქინქლაძე — 21 (14), ჯამარაული — 20 (16), ცქიტიშვილი — 19 (6), ლობჟანიძე — 13, ყაველაშვილი — 17 (14), დემეტრაძე — 17 (8), ბერაძე — 17, ნემსაძე — 16 (1), კიკნაძე — 15 (2), ანჩაბაძე 11(2), შელია — 10(2), მაჭავარიანი — 10, არჩილ არველაძე — 9 (13), ყიფიანი — 9(4), რევიშვილი — 9(1), კალაძე — 9(1), შოთა არველაძე — 8(11), ჩხეიძე — 8(-11), ინალიშვილი — 7(2), შალვა ხუჯაძე — 7(1), რეზო არველაძე — 7, [illegible] — 6(2), კორღალიძე — 5(1), ქველაძე — 4, კოტორაშვილი — 4, გვარამაძე — 4(-2), ფირცხალავა — 4, ასათიანი — 4, ტრაპაიძე — 3, მაზიაშვილი — 3, კეტაშვილი — 3, მუჯირი — 3, ბროძელი — 3.

მთავარი მწვრთნელები — გივი ნოდია (1994 წლის 5 ოქტომბრამდე); სერგო კუტივაძე (1994 წლის ნოემბრის დასაწყისიდან — 1995 წლის მარტის დასაწყისამდე); დავით ყიფიანი (1995 წლის მარტის ბოლოდან)
მოვალეობის შემსრულებლები — თემურ ჩხაიძე (1994 წლის ოქტომბერი); ვაჟა ჟვანია (1995 წლის მარტი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გივი ნოდია | 7 | 5 | 1 | 1 | 32-10 | 16 | 76% |
| სერგო კუტივაძე | 5 | 5 | 0 | 0 | 22-6 | 15 | 100% |
| დავით ყიფიანი | 13 | 11 | 1 | 1 | 51-13 | 34 | 87% |
| თემურ ჩხაიძე | 3 | 2 | 1 | 0 | 13-2 | 7 | 78% |
| ვაჟა ჟვანია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 | 100% |

# ᲓᲘ-ᲜᲐ-ᲛᲝ: ᲔᲥᲕᲡᲘᲓᲐᲜ ᲔᲥᲕᲡᲘ!

საქართველოს უცვლელმა ექვსგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" წინა ხუთ ჩემპიონატში შედარებით იოლად გაიმარჯვა (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მეორე და მეხუთე ჩემპიონატები, როცა „დინამომ" უკანასკნელ ტურებში გაინაღდა ჩემპიონობა, თუმცა მაშინაც მისი პირველობა საჭოჭმანო არ იყო), ამჯერად კი ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა „სამტრედიისაგან", რომ არა ზოგი გუნდის თავგამოდება „სამტრედიასთან" თამაშში, საქართველოს უეჭველად ახალი ჩემპიონი ეყოლებოდა. დასტურად ჩემპიონატის „სტენოგრამას" გადავხედოთ:

პირველმა სამტრედიელმა წაიფორთხილეს — მეორე ტურში ისინი ფრეს დასჯერდნენ წყალტუბოში „სამგურალთან", გუნდთან. რომელსაც პირველ წრეში არცერთი შეხვედრა არ მოუგია და მხოლოდ სამი ფრე გააზერხა. მესამე ტურში წონასწორობა აღდგა — ამჯერად თბილისელებმა დაასრულეს ფრედ მატჩი ქუთაისში — „ტორპედოსთან". მეექვსე ტურამდე სტატუს-ქვო შენარჩუნდა. ამ ტურში თბილისელებმა კვლავ გაიმარჯვეს, „სამტრედიამ" კი პირველი მარცხი იწვნია ქუთაისში (დანაკარგი ისევ იმერეთის რეგიონის გუნდთან) და სამი ქულით ჩამორჩა მეტოქეს. თუმცა მომდევნო ტურში, როცა ლიდერები ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ, სამტრედიელებმა გაიმარჯვეს, არადა, ისინი თავიდან აგებდნენ კიდეც. ორხელისუფლებიანობა აღდგა, დინამოელთა წაგებას კი მათი მთავარი მწვრთნელის გივი ნოდიას გადადგომა მოჰყვა. მთავარი მწვრთნელის გარეშე თბილისელებმა მომდევნო სამი მატჩი გამართეს და აკი შედეგმაც არ დააყოვნა — ფრე გორში. ამით ისარგებლეს სამტრედიელებმა და პირველი წრეც ორი ქულის უპირატესობით ჩაამთავრეს.

მეორე წრის სტარტზე თბილისელები კვლავ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩნენ — ამჯერად სერგო კუტივაძე გადადგა. მიუხედავად ამისა, ისინი სამტრედიელებით უდანაკარგოდ აგრძელებდნენ ასპარეზობას, მანამდე, სანამ არ შედგა ჩემპიონატის მთავარი მატჩი სამტრედიაში. ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე „დინამოს" სეზონში რიგით მესამე მთავარი მწვრთნელი — დავით ყიფიანი ჩაუდგა სათავეში. „სამტრედიამ" შინაც დაამარცხა მეტოქე და მთელი 8 ქულითაც გაუსწრო (თბილისელებს ამ დროს ერთით ნაკლები მატჩი ჰქონდათ ნათამაშები). მაგრამ მომდევნო ტურში ლიდერი დიდი ანგარიშით დამარცხდა ფოთში და დინამოელებს სხვაობის შემცირების საშუალება მისცა, თუმცა იმერთა უპირატესობა მაინც საკმაოდ სოლიდური იყო. 23-ე ტურში სამტრედიელებმა კიდევ ერთი ხიფათი შეიმთხვიეს, ამჯერად ბათუმში და დაკარგული ქულებით ლიდერობაც დაკარგეს. მოხდა ისე, რომ თბილისელებმა ვერ ისარგებლეს ამით — ზუგდიდში ორი ქულა დაკარგეს. სამტრედიელები, ოთხ დარჩენილ მატჩს თუ მოიგებდნენ, ჩემპიონობას ინაღდებდნენ, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს — ბოლოსწინა ტურში რუსთავში ოქროს ორი ქულა დაკარგეს და დინამოელებმაც ხელიდან არ გაუშვეს შანსი, ზედიზედ მეექვსედ გამხდარიყვნენ ქვეყნის ჩემპიონები. ამ ორი გუნდის პირველობისთვის უკომპრომისო მეტოქეობის გარდა, სხვა ღირშესანიშნავი ამ ჩემპიონატში თითქმის არაფერი მომხდარა.

თბილისის „დინამოს" ჩემპიონობის შენარჩუნება არა მარტო სამტრედიელთა მედგარი წინააღმდეგობის გამო გაუჭირდა: პირველი წრის შუაწელიდან დაიწყო წამყვან ფეხბურთელთა მიგრაცია. ამ პერიოდში გუნდი დატოვა 8 მოთამაშემ, რომელთა უცებ და უმტკივნეულოდ შეცვლა, ცხადია, შეუძლებელი იყო. ამას დაერთო საუკეთესო მოთამაშეთა ხშირი ტრავმებიც, რამაც, ბუნებრივია, შეაბრკოლა გუნდის სტაბილური გამოსვლა. აღარას ვამბობთ ზემოთ ნახსენებ მწვრთნელთა ხშირ ცვლაზე. ამასთან, ფსიქოლოგიურად ძალზე ძნელი იყო ყველა მატჩში მხოლოდ მოგებაზე თამაში (სხვა შედეგი „დინამოს" ხელს არ აძლევდა), თანაც მეტად მჭიდრო გრაფიკით. მიუხედავად ამისა, „დინამოს" ახალგაზრდულმა გუნდმა არაერთ შეხვედრებში საკმაოდ კარგად ითამაშა.

მეექვსე ჩემპიონატში დინამოელებმა 30 შეხვედრიდან 25 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და 2 წააგეს. ბურთების სხვაობა 125-33, დააგროვეს 78 ქულა, რაც შესაძლებლის 86,7 პროცენტია და ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. სულ, ექვს ჩემპიონატში მათ ჩაატარეს 191 მატჩი: მოიგეს 146, ფრედ დაამთავრეს 23, წააგეს 22, ბურთების სხვაობა 598-186 ეს ქულათა 79,3 პროცენტია. ამ ჩემპიონატში თბილისელებმა შინ გამართეს16 მატჩი:15 მოგება, 1 წაგება. ბურთები 80-20. სტუმრად ჩატარებული 14 შეხვედრიდან მოიგეს 10, ფრედ დაამთავრეს 3 და წააგეს 1. ბურთები 45-13. ექვსივე ჩემპიონატში შინ ნათამაშებ 100 მატჩში მოიგეს 87, ფრედ ითამაშეს 6 და წააგეს 7. ბურთების სხვაობა 397-92. გასვლაზე ასეთი მაჩვენებლები აქვთ — 91 მატჩი: 59 მოგება, 17 ფრე, 15 წაგება. ბურთები 201-94.

ბოლო ჩემპიონატში „დინამოს" ღირსება 36 ფეხბურთელმა დაიცვა, რაც სარეკორდოა კლუბისთვის ეროვნულ ჩემპიონატებში. ყველაზე ასაკოვანი იყო ოთარ კორღალიძე (დაბადებული — 02.09.60), ხოლო ყველაზე ახალგაზრდა — დავით პეტრიაშვილი (27.12.78). ყველაზე მეტი მატჩი გუნდის დებიუტანტმა გივი დიდავამ ჩაატარა — 27.

ექვსივე ჩემპიონატში „დინამოში" 70 ფეხბურთელი გამოვიდა. ყველაზე მეტი ითამაშა გოჩა ჩიქოვანმა — 131. შემდეგ მოდიან მიხეილ ყაველაშვილი — 130 შეხვედრა, ზაზა რევიშვილი — 117, გოჩა ჯამარაული — 114. ამ სამმა ექვსივე ჩემპიონატში „დინამოს" სახელით იასპარეზა, ხოლო ჯამარაული და ყაველაშვილი 6-6-ჯერ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები. ხუთჯერ მოიპოვა ოქროს მედალი ჩიქოვანმა, 4-4-ჯერ ნიკა ჩხეიძემ, რევიშვილმა, გიორგი ნემსაძემ და გელა ინალიშვილმა.

სეზონში გატანილი 125 გოლი მოდის 19 ფეხბურთელზე. კლუბის საუკეთესო ბომბარდირია ალექსანდრე იაშვილი — 24 ბურთი 24 მატჩში. იგი მეორე სეზონია გუნდშია და ორივეჯერ კლუბის საუკეთესო სნაიპერი გახდა (წინა ჩემპიონატში ყაველაშვილთან ერთად). მომდევნო ადგილებზე არიან ჯამარაული — 16 გოლი, ყაველაშვილი, ქინქლაძე — 14-14, არჩილ არველაძე — 13, შოთა არველაძე — 11.

სულ 6 ჩემპიონატში 37-მა დინამოელმა აიღო მეტოქეთა კარი. კლუბის საუკეთესო ბომბარდირია მიხეილ ყაველაშვილი — 80 გოლი (130 მატჩი; საშუალოდ 0,62 გოლი მატჩში). შოთა არველაძეს გატანილი აქვს 62 გოლი (75; 0,83), კახა კაჭარავას 46 (70; 0,66), გელა ინალიშვილს — 46 (111; 0,41), ალექსანდრე იაშვილს — 43 (52; 0,85), გიორგი ქინქლაძეს — 41 (65; 0,63), ზაზა რევიშვილს — 41 (117; 0,35). სამივე არველაძის ანგარიშზეა 122 გოლი (არჩილი — 35, რეზო — 25).

მეექვსე ჩემპიონატში თბილისელებმა სამი მეკარით იასპარეზეს, სულ კი დინამოელთა კარი ექვს მეკარეს დაუცავს. მათგან ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაუტარებიათ ნიკა ჩხეიძეს — 96 (89 გაშვებული ბურთი; საშუალოდ 0,93 გოლი) და ირაკლი ზოიძეს — 58 (52; 0,90).

დინამოელთაგან საიუბილეო გოლების ავტორები არიან: მე-100 ბურთის — ყაველაშვილი (01.04.91), 200 — შოთა არველაძე (12.04.92), 300 — შოთა არველაძე (10.04.93), 400 — ქინქლაძე (16.1193), 500 — შელია(15.10.94).

გასულ სეზონში თბილისელებმა მხოლოდ ორ მატჩში ვერ შეძლეს მეტოქეთა კარის აღება, ხოლო თავად 11-ჯერ შეინახეს თავიანთი კარი „მშრალად". სულ ექვსივე ჩემპიონატის 191 მატჩიდან მხოლოდ 16-ში ვერ შეძლეს გოლის გატანა, თავიანთი კარი კი ხელუხლებელი 77 შეხვედრაში შეინარჩუნეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისელები საკმაოდ შედეგიანად კი თამაშობენ (მეექვსე ჩემპიონატში საშუალოდ 4,17 გოლი, ხოლო სულ 3,13), მაგრამ ამასთან საკმაოლ ბევრ ბურთსაც უშვებენ საკუთარ კარში. პირველი ორი ჩემპიონატის გარდა, ისინი, საშუალოდ, მატჩში ერთზე მეტ გოლს უშვებენ, არადა, თბილისელთა გუნდში ყოველთვის იყვნენ მაღალი კლასის მეკარეები და მცველები, თანაც, მეტოქეთა თავდამსხმელებიც უმეტესწილად ოსტატობით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდნენ.

ბოლო ჩემპიონატში თბილისელებმა ჩატარებული მატჩების ნახევარი — 15 დიდი ანგარიშით მოიგეს, ორჯერ ორნიშნა ციფრითაც კი (10:1) დაამარცხეს მეტოქეები, ხოლო თვითონ ასეთი მარცხი არცერთხელ არ უწვნევიათ. სულ, ექვსივე ჩემპიონატში, 72 შეხვედრა მოიგეს სამი და მეტი ბურთის სხვაობით, თვითონ კი მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ.

გასულ სეზონში „დინამოს" ფეხბურთელებმა რვაჯერ შეძლეს „ჰეთ-თრიქის" შესრულება. 4 გოლი გაიტანა ერთ მატჩში ქინქლაძემ, 3-3 შოთა და არჩილ არველაძეებმა, იაშვილმა (2-2-ჯერ) და იმავე ქინქლაძემ. სულ ქვეყნის ჩემპიონატებში თბილისელთა ანგარიშზე 28 „ჰეთ-თრიქია". 4-4 გოლის გოლის გატანა ქინქლაძის გარდა შეძლეს შოთა და რეზო არველაძეებმა და იაშვილმა, ხოლო 3-3 გაიტანეს შოთა არველაძემ (5-ჯერ), კაჭარავამ (4ჯერ), ყაველაშვილმა, იაშვილმა (3-3-ჯერ) რევიშვილმა, ინალიშვილმა, ქინქლაძემ, არჩილ არველაძემ (2-2-ჯერ) და გურულმა.

მეექვსე ჩემპიონატში დინამოელებმა 13 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს. აქედან სამჯერ - ლობჟანიძემ, ორჯერ — ბერაძემ, დანარჩენებმა — თითოჯერ. ეროვნულ ჩემპიონატებში 25 თბილისელმა მსაჯებისგან 4 წითელი და 54 ყვითელი ბარათი მიიღო. ყველაზე ხშირად ისჯებოდნენ ლობჟანიძე — 1 გაძევება, 5 გაფრთხილება, ბერაძე — 1 გაძევება, 4 გაფრთხილება, კაჭარავა — 6 გაფრთხილება, ინალიშვილი, რეზო არველაძე — 5-5 გაფრთხილება. იმ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც გუნდის შემადგენლობაში 50-ზე მეტი მატჩი ჩაატარეს, არცერთი გაფრთხილება არ მიუღიათ — ჩიქოვანს, ჯამარაულს, არზიანს, ქინქლაძეს, ზოიძეს, არჩილ არველაძეს და იაშვილს.

გასულ სეზონში ზედიზედ 10-10 გოლის გატანა შეძლეს არჩილ არველაძემ და იაშვილმა (5-5 მატჩში), რაც 1991-92 სეზონში კაჭარავას მიერ დამყარებული რეკორდის გამეორებაა. ხოლო ზედიზედ შეუცვლელად ჩატარებული მატჩების რეკორდი ბერაძეს ეკუთვნის — 21 მატჩი (1992-93).

თბილისის „დინამოს" ზედიზედ არ წაუგია 23 მატჩი (1990-1991), ზედიზედ მოგებების რეკორდი კი 12 მატჩია (1992-1993). სეზონის რეკორდები კი ასეთია — წაუგებელი სერია — 19 მატჩი (1991). მოგებების სერია — 11 მატჩი (1991-92, 1993-94).

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ



ალექსანდრე იაშვილი და გიორგი დემეტრაძე

# რუსეთი

# კავკასიელთა შურისძიება

X ტური. 10 ივნისი. **სპარტაკი (მ) — ლოკომოტივი (მ) 1:2, ტორპედო — ჩერნომორეცი 1:0, სპარტაკი (ვლ) — როტორი 3:2, როსტსელმაში — ჟემჩუჟინა 1:4, ტექსტილშჩიკი — ურალმაში 0:1, დინამო-გაზოვიკი — ლოკომოტივი (ნიჟნი-ნოვგოროდი) 0:0, კამაზი — დინამო (მ) 5:2, ცსკა — კრ.სოვეტოვი 4:1**

მეათე ტურის ცენტრალური მატჩი ვლადიკავკაზში „სპარტაკსა“ და „როტორს“ შორის, იმითაც იყო საინტერესო, შეძლებდა თუ არა „სპარტაკი“ რევანშის აღებას თასის ნახევარფინალში დამარცხების გამო. რევანში შედგა და ამაში ყაველაშვილისა და შელიას ლომის წილიც არის: 0:1-ზე, „სპარტაკმა“ ცენტრიდან რომ დაიწყო თამაში, თედეევმა შელიას გაუჭრა პასი, ამან კი საჯარიმოში თავზე დაასვა ბურთი პაგაევს — 1:1. ორ წუთში ყაველაშვილმა იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა: მიწაზე გაწვა და კასიმოვის ჩამოწოდებული ბურთი თავით გაგზანა კარის კუთხეში. ფეხზე ამდგარი გაძეძგილი სტადიონი რამდენიმე წუთს ქართველი ლეგიონერის ოსტატობას, რომელმაც მესამე გოლის ავტორ თედეევთან ერთად ყველაზე მაღალი შეფასება — 7,0 დაიმსახურა და ერთადერთი ვლადიკავკაზელთაგან, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ამ მატჩში თეთრაძემ გაფრთხილება მიიღო, არადა, მანამდე 88 მატჩი უყვითელბარათოდ ჩაეტარებინა. გაზეთს მატჩის შემდეგ უთქვამს, რევიშვილი ათ დღეში ვარჯიშს დაიწყებსო.

მოსკოვის „სპარტაკმა“ ამ ჩემპიონატში უკვე მეოთხედ წააგო — იმდენჯერ, რამდენჯერაც წინა ორში ერთად. მოსკოველებს არც გერმანიიდან დაბრუნებულმა ვალერი შმაროვმა უშველა.



ანდრეი სმეტანინმა პენალტი აილო, მისმა მოსკოვის „დინამომ“ — ქვეყნის თასი

დევაძე კვლავ მცველებს დაუღალატებიათ, ამჯერად რუსეთის ნაკრების წევრ ანანკოს: ეს, ახალბედასაც რომ არ ეპატიება. ცნობილი როსტოველი ბომბარდირის სერგეი ანდრეევის „როსტსელმაშის“ მწვრთნელად დებიუტი მეტად უიღბლო გამოდგა. ტრავმის გამო კვლავ ვერ ითამაშა სპანდერაშვილმა.

სამარელმა ზურაბ წიკლაურმა მოსკოვში არმიელებთან მატჩის 62-ე წუთზე, 0:0-ზე, ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მისმა გუნდმაც ყურები ჩამოყარა, ოც წუთში ზედიზედ ოთხი გოლი გაუშვა და დიდი ანგარიშითაც დამარცხდა.

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „ურალმაშმა“, აქედან ორი სტუმრად, ოთხი მატჩია, საკუთარ კარში გოლი არ მიუღია.

ნაბერეჟნიე ჩელნიში „კამაზმა“ ჩემპიონატის ლიდერთან მატჩის წინ ვეტერანი ნიკოლაი კოლესოვი გააცილა, მასაც დაჩოქილს ყველასთვის მადლობა უძღვნია და სანამ ტრიბუნაზე ავიდოდა, „კამაზის“ თავდამსხმელ დურნევს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ეს უკანასკნელი მთლად გადარეულა და მატჩი ხეირიანად დაწყებული არ იყო, მოსკოველებს ლამაზი გოლი გაუტანა. „კამაზთან“ დიდი ანგარიშით მარცხი ბესკოვის დინამოურ კარიერაში პირველი ყოფილა. კამაზელებმა იმდენად კარგად ითამაშეს, რომ ამ მატჩზე სპეციალურად ჩასულ უხუცეს კომენტატორ ნიკოლაი ოზეროვს ტაშისკვრისგან ლამის ხელები გადაეყვლიფა.

ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივმა“, ქართველი მილიონერი ომარ შარაძე რომ მფარველობს, ათ ტურში უკვე მეექვსე მატჩი ითამაშა ფრედ, მოსკოვის „ტორპედოს“ ფორვარდები კი, შვიდჯერ რომ გავიდნენ „ჩერნომორეცის“ მეკარე პავლოვთან პირისპირ, შვიდჯერვე თავი შეირცხვინეს და 33 წლის აგაშკოვის პენალტით გატანილ ბურთსღა დასჯერდნენ...

მეექვსე ტურის მატჩში მოსკოვის არმიელებს მსაჯმა წააგებინა — ლებედს ორი ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა. კლუბის პრეზიდენტმა, 35 წლის თენგიზ ვარძაძემ რკინის ქალამნები ჩაიცვა, ვინ აღარ შეაწუხა და საწადელსაც მიაღწია: რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის საბჭომ 16 ხმით 7-ის წინააღმდეგ რუსეთის ჩემპიონატში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — შეხვედრა გადათამაშდეს, არბიტრებს კი სამუდამოდ აეკრძალოთ მსაჯობა...

გუშინწინ რუსეთის თასის მესამე გათამაშების ფინალიც გაიმართა. „ლუჟნიკებში“ 15 ათასმა კაცმა 120 წუთს უყურა უგოლო და ერთობ უხეირო თამაშს. საათნახევრის განმავლობაში ფეხბურთელები ბეჯითად ასრულებდნენ მწვრთნელთა დავალებას და იოტისოდენადაც არ გამოუმჟღავნებიათ ინდივიდუალური ოსტატობა, თუმცა რაც არ არ ჰქონდათ, რას გამოამჟღავნებდნენ. ამ დუნე და მოსაწყენ მატჩში მოსაწონი არაფერი იყო, გარდა საპენალტო ციებ-ცხელებისა: თუმცა ვოლგოგრადელებმა დამატებითი დროის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე არბიტრისგან ნაჩუქარი პენალტი ვერ შეიშნოვეს და ვერეტენნიკოვმა ძელს გაარტყა. პენალტების სერიაში კი ბედმა ბესკოვს გაუღიმა: შვიდ-შვიდი ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანის შემდეგ ვოლგოგრადელი კორნიეცის დარტყმა სმეტანინმა მოიგერია, შულგინმა კი მერვე აგტანილი პენალტით რუსეთის თასი აჩუქა წლის მწვრთნელს და ამაგი დაუფასა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 18-9 | 23 |
| ვლადიკავკაზი | 9 | 7 | 0 | 2 | 21-7 | 21 |
| ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 15-10 | 20 |
| ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 14-12 | 17 |
| ურალმაში | 10 | 5 | 1 | 4 | 13-14 | 16 |
| კამაზი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-10 | 15 |
| ცსკა | 8 | 4 | 2 | 2 | 18-11 | 14 |
| სპარტაკი | 10 | 3 | 3 | 4 | 18-15 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 10 | 3 | 3 | 4 | 13-19 | 12 |
| ჩერნომორეცი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-14 | 10 |
| ტექსტილშჩიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-12 | 10 |
| კრ. სოვეტოვი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-15 | 10 |
| ნ.ნოვგოროდი | 10 | 1 | 6 | 3 | 7-9 | 9 |
| როსტსელმაში | 10 | 2 | 1 | 7 | 9-24 | 7 |
| გაზოვიკი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-22 | 5 |

ბომბარდირები: ვლადიმერ ლებედი (ცსკა) — 7, ოლეგ ვერეტენნიკოვი (როტორი) — 7, ოლეგ ტერიოხინი (დინამო) — 6, მუხსინ მუხამედოვი (სპარტაკი) — 6, ვლადიმერ ნიდერგაუსი (როტორი) — 6, რობერტ ევდოკიმოვი (კამაზი) — 6

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ 12 ივლისამდე დიდი საფეხბურთო ბიზნესია გაჩაღებული, შემდეგ კი ტრანსფერებისთვის გამოყოფილი პერიოდი გავა და გუნდები ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგებიან. „ლაციოს“ გულშემატკივრებმა შეიტყვეს, რომ გუნდის პრეზიდენტი, ბანკირი სერჯიო კრანიოტი მათ კერპს ჯუზეპე სინიორის „პარმას“ 16 მილიონ დოლარად უთმობს. აღშფოთებულმა ქომაგებმა, რას გვიქვია გუნდის ინტერესებში ფულში, თუნდაც დიდძალში გაიცვალოსო, კრანიოტის ბანკს და კლუბის ოფისს, რომლებიც ერთად ყოფილა განთავსებული, ალყა შემოარტყეს და დალეწვა დაუპირეს. პრეზიდენტი ძლიერ აღშფოთებულა და განუცხადებია, მე ჩემს ფეხბურთელს გავყიდი თუ არა, ვისი რა საქმეაო. შემდეგ თავისი წილი „ლაციოს“ გაყიდვითაც დაიმუქრა, მაგრამ, საბოლოოდ, როგორც ჩანს, კოლეგების რჩევით სინიორის გაყიდვაზე ხელი აიღო. „ფიორენტინამ“ ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი




ჯუზეპე სინიორი ლაციოში“ რჩება

მცველი მარსიო სანტუში 3,2 მილიონ დოლარად ამსტერდამის „აიაქსს“ მიჰყიდა, სადაც იგი სახელგანთქმულ ფრანკ რაიკაარდს შეცვლის, არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას კი საუკუნის ბოლომდე გაუგრძელა კონტრაქტი. „ინტერმა“ პრეს-კონფერენცია გამართა, რომლის მთავარი თემა ინგლისელი ზანგის პოლ ინსის 11,2 დოლარად შეძენა იყო. მილანის კლუბის პატრონებმა განაცხადეს, რომ ამ თანხის გადახდაში მათ ახალი სპონსორი დაეხმარა, რომელმაც 8 მილიონი გაიღო. ტრანსფერების დამთავრებამდე გაირკვევა „ნაპოლის“ ბედიც. ამ ცნობილ კლუბს 12,5 მილიონი დოლარი ვალი ჰქონია, რომელსაც ვერ იხდის და ახლა პროფესიული სტატუსის მოხსნა და სერია A-დან გაძევება ემუქრება.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ თასის ფინალში ერთმანეთის პირისპირ „დეპორტივო ლა კორუნია“ და „ალბასეტე“ წარდგებიან. „ალბასეტემ“ ნახევარფინალში „ვალენსია“ გააგდო (1:2, 2:0), „დეპორტივომ“ კი ხიხონის „სპორტინგი“ (0:1, 2:0).

ᲞᲔᲠᲣᲡ ნაკრები მოიწამლა. „კოპა ამერიკისთვის“ მზადებისას, ლიმაში საწვრთნელ შეკრებაზე ქათმის სალათმა 15 ფეხბურთელს ამოაყოფინა თავი.

## ფეხბურთის რუკაზე



ᲛᲐᲚᲐᲘᲖᲘᲘᲡ სპორტის მინისტრი ქვეყნის პარლამენტის წინაშე კორუფციასთან ბრძოლის“ ახალი პროგრამით წარდგა. მისი გეგმით, უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა ახალი კონტრაქტი უნდა გააფორმოს და თანაც შემოსავლის შესახებ დეკლარაციაც უნდა შეადგინოს. ამასობაში სინგაპურის ნაკრების უბადალებული ვარსკვლავი აბას სადი, რომელსაც, როგორც წინაზე გაუწყეთ, ციხე ჯარიმით შეუცვალეს, კვლავ დაიჭირეს და კვლავ თავდებით გაუშვეს. ახალი დაკავების მიზეზი ის იყო, რომ ფეხბურთელმა თავის მწვრთნელს ომარ იბრაჰიმს დაურეკა და ძვლების გადამტვრევას დაპირდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘᲪ, თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა, ტრანსფერების დროა. დორტმუნდის „ბორუსიამ“ პრაღის „სლავიიდან“ სამი წლით შეიძინა 22 წლის ჩეხეთის ნაკრების მოთამაშე პატრიკ ბერგერი, რომელიც ახალ კლუბს ივლისში შეუერთდება.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო „კოპა ამერიკისთვის“ ისეთ გუნდს ამზადებს, ატლანტის ოლიმპიადაზეც რომ გამოადგება. მის მიერ დასახელებულ შემადგენლობაში აღარც რომარიოა და აღარც ბებეტო. 32 წლის მსოფლიოს ჩემპიონი დუნგა კი „შტუტგარტიდან“ იაპონიის ჯეი ლიგაში, კერძოდ, „იუბლო ივატაში“ გადავიდა.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ „ისტანბულსფორი“ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში გადავიდა. ეს წარმატება ჰოლანდიელი მწვრთნელის ლეო ბეენჰაკერის სახელთანაა დაკავშირებული, და აი, ახალი სიურპრიზი: გუნდს მომავალი სეზონიდან ყოფილი აიაქსელი პეტერ ვან ფოსენი შეემატება.

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲨᲘ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალი გაიმართა: აშშ — იაპონია 4:0, ნორვეგია — დანია 3:1, გერმანია — ინგლისი 3:0, ჩინეთი — შვედეთი 5:4 (პენალტებით).

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ჟან ტიგანა „ლიონს“ ედგა სათავეში. გუნდმა მეორე ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და პირველში ავიდა. ტიგანას სამწვრნელო ნავი მოეწონა „მონაკოს“, რომელმაც იგი ერთი წლით თავისთან გადაიყვანა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ „ნორვიჩ სიტიმ“ გაუშვა მწვრთნელი ჯონ დიონდა, რომელმაც გუნდი ლიგაში ვერ დატოვა და მის ნაცვლად ქვედა ლიგის „ვიგან ატლეტიკიდან“ მარტინ ონილი მიიწვია. „არსენალიდან“ ფინანსური მაქინაციებისთვის გაშვებული ჯორჯ გრემის საქმეს კი საფეხბურთო ლიგის საგანგებო კომისია 10 ივლისს გაარჩევს. გრემი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი მის სასიკეთოდ გადაწყდება და კვლავ მიეცემა ნება სადმე მწვრთნელად მოეწყოს. ახალი კაცი უხელმძღვანელებს „შეფილდ უენსდეისაც“ — დევიდ ფლიტი, რომელიც პრემიერ ლიგაში ბოლოს რვა წლი წინ, „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ მუშაობდა, ბოლოს კი ქვედა ლიგის „ლუთთონ თაუნს“ ედგა სათავეში. „ლუთონი“ მწვრთნელის გატაცებისთვის „შეფილდ უენსდეის“ წინააღმდეგ ჩივილს აპირებს და კომპენსაციას ითხოვს.

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

სადღეისო მდგომარეობა და დარჩენილი მატჩების განრიგი

### I ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-6 | 17 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 6-0 | 10 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-7 | 10 |
| ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-10 | 9 |
| სლოვაკეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-15 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

16 აგვისტო. საფრანგეთი — პოლონეთი, აზერბაიჯანი — სლოვაკეთი. 6 სექტემბერი. საფრანგეთი — აზერბაიჯანი, სლოვაკეთი — ისრაელი, პოლონეთი — რუმინეთი, 11 ოქტომბერი. რუმინეთი — საფრანგეთი, ისრაელი — აზერბაიჯანი, სლოვაკეთი — პოლონეთი, 15 ნოემბერი. სლოვაკეთი — რუმინეთი, აზერბაიჯანი — პოლონეთი, საფრანგეთი — ისრაელი

### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-3 | 19 |
| ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-9 | 11 |
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 10-6 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 7-12 | 6 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| სომხეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-9 | 2 |

16 აგვისტო. სომხეთი — დანია, 6 სექტემბერი. ბელგია — დანია, ესპანეთი — კვიპროსი, მაკედონია — სომხეთი, 7 ოქტომბერი. სომხეთი — ბელგია, 11 ოქტომბერი. დანია — ესპანეთი, კვიპროსი — მაკედონია, 15 ნოემბერი. ესპანეთი — მაკედონია, კვიპროსი — ბელგია, დანია — სომხეთი

### III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| შვედეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| ისლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |

16 აგვისტო. ისლანდია — შვეიცარია, 6 სექტემბერი. შვედეთი — შვეიცარია, თურქეთი — უნგრეთი, 11 ოქტომბერი. შვეიცარია — უნგრეთი, ისლანდია — თურქეთი, 11 ნოემბერი. უნგრეთი — ისლანდია, 15 ნოემბერი. შვედეთი — თურქეთი

### IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 5 | 1 | 1 | 12-2 | 16 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| ლიტვა | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| უკრაინა | 7 | 3 | 1 | 3 | 5-8 | 10 |
| სლოვენია | 7 | 2 | 2 | 3 | 9-8 | 8 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-18 | 0 |

16 აგვისტო. ესტონეთი — ლიტვა, 3 სექტემბერი. ხორვატია — ესტონეთი, 6 სექტემბერი. იტალია — სლოვენია, ლიტვა — უკრაინა, 8 ოქტომბერი. ხორვატია — იტალია, 11 ოქტომბერი. სლოვენია — უკრაინა, ლიტვა — ესტონეთი, იტალია — უკრაინა, 15 ნოემბერი. სლოვენია — ხორვატია, იტალია — ლიტვა

### V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 6 | 1 | 0 | 16-1 | 19 |
| ჰოლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-5 | 11 |
| ჩეხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-5 | 11 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| ლუქსემბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 2-18 | 6 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 2-15 | 2 |

16 აგვისტო. ნორვეგია — ჩეხეთი, 6 სექტემბერი. ჩეხეთი — ნორვეგია, ლუქსემბურგი — მალტა, ჰოლანდია — ბელარუსი, 7 ოქტომბერი. ბელარუსი — ჩეხეთი, 11 ოქტომბერი. მალტა — ჰოლანდია, ლუქსემბურგი — ბელარუსი, 12 ნოემბერი. მალტა — ბელარუსი, 15 ნოემბერი. ჩეხეთი — ლუქსემბურგი, ჰოლანდია — ნორვეგია

### VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 17-5 | 15 |
| ირლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-4 | 14 |
| ავსტრია | 6 | 4 | 0 | 2 | 20-4 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 10-11 | 10 |
| ლატვია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-16 | 6 |
| ლიხტენშტეინი | 7 | 0 | 1 | 6 | 1-28 | 1 |

15 აგვისტო. ლიხტენშტეინი — პორტუგალია, 16 აგვისტო. ლატვია — ავსტრია, 3 სექტემბერი. პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია, 6 სექტემბერი. ავსტრია — ირლანდია, ლატვია — ლიხტენშტეინი, 11 ოქტომბერი. ირლანდია — ლატვია, ავსტრია — პორტუგალია, ლიხტენშტეინი — ჩრდ. ირლანდია, 15 ნოემბერი. პორტუგალია — ირლანდია, ჩრდ. ირლანდია — ავსტრია

### VII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-4 | 18 |
| გერმანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| საქართველო | 7 | 4 | 0 | 3 | 9-5 | 12 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-11 | 6 |
| მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 7-18 | 6 |
| უელსი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-16 | 4 |

6 სექტემბერი

გერმანია — საქართველო
უელსი — მოლდოვა
ალბანეთი — ბულგარეთი

7 ოქტომბერი

ბულგარეთი — ალბანეთი

8 ოქტომბერი

გერმანია — მოლდოვა

11 ოქტომბერი

საქართველო — ბულგარეთი
უელსი — გერმანია

15 ნოემბერი

მოლდოვა — საქართველო
ალბანეთი — უელსი
გერმანია — ბულგარეთი

### VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 17-8 | 15 |
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 18-1 | 14 |
| შოტლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 12-3 | 14 |
| საბერძნეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-6 | 12 |
| ფარერები | 7 | 1 | 0 | 6 | 5-24 | 3 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1-24 | 0 |

16 აგვისტო. შოტლანდია — რუსეთი, ფინეთი — რუსეთი, 6 სექტემბერი. შოტლანდია — ფინეთი, ფარერები — რუსეთი, სან მარინო — საბერძნეთი, 11 ოქტომბერი. რუსეთი — საბერძნეთი, სან მარინო — ფარერები, 15 ნოემბერი. შოტლანდია — სან მარინო, რუსეთი — ფინეთი, საბერძნეთი — ფარერები

## ტოტოლოტო

საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 29**
17 ივნისი

| | |
|---|---|
| 1 | შალკე — ფრაიბურგი |
| 2 | დორტმუნდი — ჰამბურგი |
| 3 | ბაიერნი — ვერდერი |
| 4 | კარლსრუე — ბოხუმი |
| 5 | ურდინგენი — გლადბახი |
| 6 | აინტრახტი — მიუნხენი |
| 7 | კაიზერსლაუტერნი — კიოლნი |
| 8 | ლევერკუზენი — დინამო |
| 9 | ატლეტიკი — ბარსელონა |
| 10 | რეალი — ბეტისი |
| 11 | ალბასეტე — დეპორტივო |

მოგება: 100 000 000 კუპონი, 1 000 000 რუბლი, 1 000 დოლარი

## ტოტოლოტო

საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 30**
18 ივნისი

| | |
|---|---|
| 1 | სარაგოსა — ვალენსია |
| 2 | კომპოსტელა — ტენერიფე |
| 3 | ლოგრონიესი — სელტა |
| 4 | სპორტინგი — ვალიადოლიდი |
| 5 | ატლეტიკი — ბარსელონა |
| 6 | ალბასეტე — დეპორტივო |
| 7 | სევილია — ატლეტიკო |
| 8 | რეალი — ბეტისი |
| 9 | ბაიერნი — ვერდერი |
| 10 | დორტმუნდი — ჰამბურგი |
| 11 | ურდინგენი — გლადბახი |

10 შედეგის გამომცნობებს უფლება აქვთ მომდევნო ტირაჟში უფასოდ შეავსონ 12 ვარიანტი

რვაათასიანები



მწვერვალამდე ერთი მეტრია დარჩენილი. თენსინგმა დროშებიანი წერაყინი გაამზადა, ჰილარიმ — ფოტოაპარატი

# მივდივარ რადგან ევერესტი არსებობს

## ჯომოლუნგმა 8848

ჩვენი მკითხველი ალბათ დარწმუნდა, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალს თუ რომელიმე ქვეყნის ექსპედიცია მიაღწევდა, პირველი ინგლისური უნდა ყოფილიყო, რაკილა მათ ყველაზე დიდი წვლილი და მსხვერპლი გაიღეს უდიდესი ოცნების განსახორციელებლად. მაგრამ პიროვნულად ამ პატივს ყველაზე მეტად შერპი თენსინგ ნორგეი იმსახურებდა. 1953 წლამდე ინგლისელებმა ჯომოლუნგმაზე თორმეტიდან ათი ექსპედიცია ჩაატარეს, თენსინგ ნორგეის კი ექვსი ცდა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, 1953 წელს, როცა ინგლისელებმა თენსინგს ექსპედიციაში მონაწილეობა შესთავაზეს, შერპი ამ წინადადებას უმალ არ დათანხმებია. როცა ინგლისელები მის დაყაბულებას ცდილობდნენ, იმასაც ახსენებდნენ, შენ ხომ ჩვენს მთამსვლელებთან ბევრი გივლიაო და თან გასამრჯელოსაც ახლა [illegible]ცილებით მეტს სთავაზობდნენ.

[illegible]რამ თენსინგი ფიქრობდა...

„ვფიქრობდი შვეიცარელებზე, მათ შეუდარებელ მამაცობაზე, იმაზე, რა ბედნიერი და ამაყი ვიყავი, მათთან ერთად რომ წავედი ევერესტის დასაპყრობად. იმ ჩილინანგათაგან, რომლებსაც მე შევხვედრივარ, — ამ ხნის მანძილზე კი ძალიან ბევრს შევხვდი, — შვეიცარიელები ყველაზე მეტად მომეწონა. თუ ისინი ოდესმე კიდევ ჩამოვლენ სოლო ქუმბუში, შერპები გზების გასწვრივ ჩამწკრივდებიან და მაღლააწეულ, ჩანგით სავსე თასებს შეაგებებენ. ევერესტზე წასვლა ისევ მათთან მინდოდა. მინდოდა მევლო ღრუბლებზე მაღლა ჩემს მეგობარ ლამბერთან ერთად და საბოლოოდ მიმეღწია მიზნისთვის, მაგრამ შვეიცარელთა ლოდინი ამაო იყო. მათ უკვე გამოიყენეს თავიანთი შესაძლებლობა; 1953 წელს ინგლისელების ჯერი დადგა. თუ მწვერვალს ვერც ახლა აიღებდნენ, 1954 წლისათვის ნეპალის მთავრობა ევერესტს უკვე ფრანგებს პირდებოდა. თუ მწვერვალი სა[illegible] წლის მანძილზე დარჩებოდა აუღებელი, ისევ შვეიცარელები დაბრუნდებოდნენ.

მწვერვალის აღება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. გაზაფხულის ექსპედიციის დროს მე და ლამბერი ძალიან ახლოს მივედით მწვერვალთან. უკეთესი ჟანგბადის აპარატები რომ გვქონოდა და ამინდსაც ხელი შეეწყო, მივაღწევდით კიდეც მიზანს. და აი, ახლა ეწყობოდა დიდი ინგლისური ექსპედიცია. უფრო დიდი ექსპედიციის წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელიცაა".

დიდი ყოყმანის შემდეგ თენსინგი დაყაბულდა და თან გაიფიქრა, ან ახლა, ან არასოდეს. მეშვიდე ცდაზე ან ავალ მწვერვალზე, ან მოვკვდებიო.

და საქმეც დაიწყო. თენსინგმა, როგორც ყველაზე ავტორიტეტულმა სირდარმა, ინგლისელთა თხოვნით თვითონვე შეარჩია საუკეთესო, უძლიერეს თანამოძმეთა გუნდ[illegible]ში შევიდა ჯომოლუნგმის ვეტერანთა უმრავლესობა.

რაც შეეხებათ ბრიტანელებს, მათ მთელი ინგლისური ალპინიზმის ნაღები ჩაიყვანეს. ესენი იყვნენ: ჩარლზ ევანსი, ტომ ბურდილიონი, ალფრედ გრეგორი, მაიკლ უესტმეკოტი, უილფრიდ ნოისი, ჯორჯ ბენდი, ჩარლზ უაილი; აგრეთვე ახალზელანდიელები ედმუნდ ჰილარი და ჯორჯ ლოუ. თავდაპირველად ექსპედიციის მეთაურად ერიკ შიპტონი იყო, მერე იგი პოლკოვნიკმა ჯონ ჰანტმა შეცვალა.

ეს შვიდნახევარტონიანი ექსპედიცია 350 მზიდავისა და 39 მოსიმაღლე მზიდავი შერპის თანხლებით შვეიცარიელების მიერ „გაკვალულ" გზას გაუყვა.

12 აპრილს 5300 მეტრზე საბაზო ბანაკი დადგეს და მეორე დღესვე კხუმბუს მყინვარს შეუტიეს.

კხუმბუს უძირო ნაპრალი გიგანტური ყინულის ლოდებით ისე იყო ჩახერგილი, თითქოს აისბერგები დაუყრიათო. ხან მთლად შვეულ ყინულის კედლებზე უხდებოდათ ბობღიალი, ხან ნაპრალებზე ლითონის კიბეებს ხიდებად იყენებდნენ. საღამოს დღეს დაბრუნებულთ ნაპრალებზე გადებული ხიდები ქაღალდივით დაჭმუჭნული ან სულაც გამქრალი ხვდებოდათ. მყინვარი შფოთავდა და ბორგავდა. ზოგი ნაპრალი პირს იკრავდა, სხვაგან კი ტკაცანითა და ჭახანით ახალი ჩნდებოდა. მთამსვლელებიც ყველაფერს თავიდან იწყებდნენ.

26 აპრილს ჰილარი, თენსინგი, ჰანტი და ევანსი დასავლეთის ცირკში 6400 მეტრამდე ავიდნენ, სადაც შვეიცარიელების მიერ დატოვებული, თოვლში ჩამარხული კარგად შენახული პროდუქტები იპოვეს და იქვე მეოთხე ბანაკი გამართეს. ინგლისელებმა სამხრეთ უნაგირამდე გზადაგზა შვეიცარელთა დატოვებული საკვები, საჭურველი და სავსე ჟანგბადის ბალონებიც [illegible]მად იპოვეს და გამოიყენეს კიდეც.

მაისის დასაწყისში დაიდგა მეხუთე (6700 მ), მეექვსე (7000 მ) და მეშვიდე ბანაკები (7315 მ). ეს უკანასკნელი უკვე ლჰოცზეს კედელზე იყო. 22 მაისს უაილმა, ჰილარმა და თენსინგმა 14 შერპთან ერთად სამხრეთ უნაგირაზე მერვე ბანაკის (7880 მ) მოსაწყობად და მოიერიშე წყვილისთვის ყველაფერი აზიდეს.

შერპებმა საოცარი გამძლეობა და ვაჟკაცობა გამოამჟღავნეს. ისინი ჟანგბადის აპარატურით არ სარგებლობდნენ და 23-კილოგრამიან ბარგს მიათრევდნენ. არადა, ჯერ კიდევ ლონდონში ფიქრობდნენ, რომ ასეთ სიმაღლეზე მაქსიმალური წონა 14 კილოგრამი უნდა ყოფილიყო.

ამ მომენტში უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ მწვერვალს ჯერ ბურდილიონ-ევანსის წყვილი შეუტევდა და მათ ამ საქმეში ჰანტი დაეხმარებოდა რამდენიმე შერპთან ერთად. წარუმატებლობის შემთხვევაში ჰილარი-თენსინგის წყვილი მიიტანდა იერიშს, მათი ხელშემწყობი ლოუ, გრეგორი და შერპები იქნებოდნენ. თუ საჭირო გახდებოდა, მესამე მოიერიშე წყვილსაც ვარაუდობდნენ, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ საქმე აქამდე აღარ მივიდოდა.

24 მაისს ჰანტი პირველ მოიერიშე წყვილთან და ორ შერპთან ერთად სამხრეთ უნაგირაზე ავიდა. საშინელი ყინვისაგან მათ ვერ იცავდა სქელი შალის შარვალსვიტერი, ბუმბულის შარვალი, ქურთუკი, ქარგაუმტარი საიერიშო კოსტიუმი და სამი წყვილი ხელთათმანი (ასევე შალის, ბუმბულისა და ქარგაუმტარი). ან როგორ დაიცავდა, როცა იქ, ყინულით დაფარულ ფართო და გრძელ კლდოვან მოედანზე მუდმივად ძლიერი ქარი ქრის და ხშირად ქარიშხალშიც გადადის. იქ ორი კარვის დადგმა იყო საჭირო — ერთი სამი ინგლისელისთვის და მეორეც ორი შერპისთვის.

ამ კარვების დადგმა ჯონ ჰანტმა ასე აღწერა: „ჩემი ჟანგბადის მარაგი იქ გამოილია, ევანსმა კი, მოხერხებულად რომ ემუშავა, თავისი ჟანგბადის აპარატურა მოიხსნა. ჩვენ ძალიან მისავათებულნი ვიყავით და იმ ქარიშხალთან საბრძოლო ძალა აშკარად აღარ გაგვაჩნდა. მთელი ძალების დაძაბვით საათზე მეტხანს შეუპოვრად ვცდილობდით, რომ როგორმე ერთადერთი კარავი დაგვედგა. სხვა შემთხვევაში ამას ერთ-ორ წუთში გავაკეთებდით. ქარიშხალი კარავს ნიადაგ ხელიდან გვგლეჯდა და ჩვენ თოკებში ისე ვიხლართებოდით, როგორც აბლაბუდაში. ვიგუდებოდით და ბარბაცით მაინც შეუპოვრად ვცდილობდით მიზნისთვის როგორმე მიღწევას, მაგრამ ძალები მეტისმეტად არათანაბარი იყო. ტომ ბურდილიონი ერთხანს კიდევ სარგებლობდა თავისი ჟანგბადის აპარატით და თავდაპირველად ვერ გაეგო, მე და ევანსი მთვრალებივით რატომ ვბარბაცებდით. ამ ბარბაცისას ქვას ფეხი წამოჰკრა და პირქვედამხობილმა მთელი ხუთი წუთი წამოდგომა ვეღარ მოახერხა. მაგრამ ტომსაც გაუთავდა ჟანგბადის მარაგი და უმალ ძალა გამოელია, მერე გულაღმა დავარდა, ნახევრადუგრძნობელი გაიშოტა.

ამასობაში ორივე შერპი ამოვიდა. ილაჯგაწყვეტილ ბალუს თვითკონტროლი დაეკარგა. ჰოდა, არც აცია, არც აცხელა და უმალ სანახევროდ დადგმულ კარავში დურთა თავი. ამით იგი თავისდაუნებურად დაგვეხმარა. მან თავისი სიმძიმით კარავი დააბა, თან უმალ ჟანგბადის ბალონები და ქვები მივაყარეთ, რომ ამეებით კარვის იატაკი „დაელურსმა".

25 მაისისთვის დანიშნული იერიში ერთი დღით გადაიდო, რაკი დაღლილ-დაქანცულებს სულის მოთქმა სჭირდებოდათ, მერე კი ჯონ ჰანტი ერთ შერპთან ერთად მეცხრე ბანაკის დასადგმელად გაემართა. ორივეს 20-20 კილოგრამი ბარგი მიჰქონდა. მოიერიშე ტომ ბურდილიონი და ჩარლზ ევანსი მოგვიანებით გავიდნენ, მაგრამ მალე ჰანტს გაასწრეს. ზოგიერთი მონაკვეთის დახრილობა 50 გრადუსს აღწევდა. ამიტომ მთამსვლელები ან საფეხურებს ჩეხდნენ, ან თოვლს ტკეპნიდნენ. დამხმარე ჯგუფმა კარავი და სხვა ბარგი დატოვა და ქვემოთ დაეშვა, ევანსმა და ბურდილიონმა კი სამხრეთის მწვერვალს (8336 მ) მიაღწიეს. აქედან მწვერვალამდე ასაღწევად დაახლოებით სამი საათი იყო საჭირო, თანაც სავალი მეტად რთული ეჩვენათ. დაღლილებიც კარგა გვარიანად იყვნენ და ამიტომ უკან დაბრუნება გადაწყვიტეს. ისინი ფრთხილად და ერთმანეთის დაცვით იხევდნენ უკან, მაგრამ ევანსს მაინც ფეხი დაუსხლტა, მთელი თოკის სიგრძეზე იფრინა და ბურდილიონიც თან გადაიყოლა. ბედად, ბურდილიონმა მუცელზე გადაბრუნება და წერაყინით თავისი დამუხრუჭებაც შეძლო და მეგობრისაც.

იმ დღეს სამხრეთ უნაგირაზე მეორე მოიერიშე წყვილი და მათი დამხმარე ჯგუფიც ავიდა. 27 მაისის ღამე სამხრეთ უნაგირაზე ათმა კაცმა გაათენა, მაგრამ ვაი იმ გათენებას. ღამით გაძლიერებული ქარი ქარიშხალში გადაიზარდა, რის გამოც გადამწყვეტი იერიში გადაიდო. შუადღისას, როცა ქარიშხალი ცოტათი ჩაცხრა, ყველანი ქვემოთ დაეშვნენ, ზემოთ კი დარჩნენ: ჰილარი, თენსინგი, მათი დამხმარეები ლოუ, გრეგორი და კიდევ ორი შერპი ანგ ნიუმა და ჰუმბა.

28 მაისს დილით ქარმა იკლო და 8 საათზე მთამსვლელები გზას გაუდგნენ. თავდაპირველად დამხმარე ჯგუფი გავიდა, რათა მათ მიერ გაკვალულ გზაზე ჰილარსა და თენსინგს სიარული გაიოლებოდათ, ენერგიაც და ჟანგბადის მარაგიც დაეზოგათ. მაგრამ დამხმარე ჯგუფთან სიარული შეუძლოდ გახდარმა ჰუმბამ ვეღარ შეძლო. ამიტომ მისი ბარგი სხვებმა გაინაწილეს, რაც ჟანგბადის ბალონების გამოკლებით თითოეულზე 20-20 კილო გამოვიდა. ჰილარი და თენსინგი მათ 8230 მეტრის სიმაღლეზე წამოეწივნენ. კიდევ 70 მეტრის გავლის მერე მათ ორი დღის წინათ ჰანტის ჯგუფის მიერ დატოვებული აღჭურვილობა მოძებნეს, ეს ბარგიც გაინაწილეს და 8500 მეტრზე პატარა მოედანზე კარავი გამართეს. იქ უკანასკნელი ღამის სათევად თენსინგი და ჰილარი დარჩნენ, დანარჩენებმა მათ გამარჯვება უსურვეს და სამხრეთ უნაგირაზე დაეშვნენ.

29 მაისს დილის ოთხ საათზე მათ საიერიშო სამზადისი დაიწყეს. ჯომოლუნგმის კალთაზე მშვენიერი დილა თენდებოდა. მთამსვლელებმა ცოტა წაიხემსეს და ლიმონის წვენით გაიჭყიპნეს, რაკი ასეთ სიმაღლეზე უტენობისგან გამომშრალი ორგანიზმი გამუდმებით სითხეს ითხოვს. იმ ღამეს თენსინგს თავის ჩვეულებისამებრ შვეიცარიული ბეწვის ჩექმები არ გაუხდია, ჰილარმა კი პირიქით. ამან მას პრობლემები შეუქმნა, რაკილა მისი ჩექმები ყინულით ამოვსებულიყო და პრიმუსზე მათ გასალღობად მთელი საათი იჯახირა. თანაც ცოტა ფეხებიც მოყინვოდა. ამიტომ მანამ ჰილარს ფეხებში სისხლი აუმოძრავდებოდა, წინ საფეხურების ჭრით თენსინგი მიიკვლევდა გზას, მერე კი ამ საქმეში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. 9 საათზე მათ სამხრეთის პიკს მიაღწიეს. იქიდან სავალი მეტად შემზარავი ეჩვენათ, მაგრამ არც მთლად ასე აღმოჩნდა საქმე. ჰილარის სიტყვებით, ასვლისას იგი ისეთ კმაყოფილებას განიცდიდა, თითქოს მშობლიური „ახალი ზელანდიის ალპებში" იყო. მალე მათ მიაღწიეს უკანასკნელ ყველაზე დიდ დაბრკოლებას — 12-მეტრიან კლდოვან „ჟანდარმს" — ჰილარის თქმით ეს ჟანდარმი სწორედ ამსიმაღლე იყო, თენსინგი კი ირწმუნება, 5 მეტრს არ აღემატებოდაო.

ჰილარი იმ „ჟანდარმსა" და უშველებელ „კარნიზს" შორის ამავალ ნაპრალში დიდი გაჭირვებით აძვრა. ამ ძალზე სახიფათო მონაკვეთზე თენსინგი მას ქვემოდან იცავდა. როცა ჰილარი იმ „ჟანდარმის" თავზე მოექცა, რამდენიმე წუთით სულის მოსათქმელად გაიშოტა. როცა თენსინგიც ადგა, მათ თვალწინ კვლავ მსგავსი [illegible]ლება აღიმართა. მასაც რომ თავზე მოექცნენ, იგივე სურათი განმეორდა, გზას კი დასასრული აღარ უჩანდა. მერე მოულოდნელად თხემმა ქვემოთ დაიწყო დაშვება. ირგვლივ მიმოიხედეს და აღმოჩნდა, რომ ისინი, როგორც [illegible] უმაღლეს მწვერვალზე შემდგარიყვნენ.

1953 წლის 29 მაისი, 11 საათი და 30 წუთი იყო.

პირველამსვლელები ერთმანეთს ხელს ართმევენ, ეხვევიან და ზურგზე იმდენ ხანს უტყაპუნებენ ხელს, მანამ ჟანგბადის უკმარისობის გამო იძულებულნი ხდებიან ეს „გართობა" შეწყვიტონ.

მოგვიანებით ჰილარი ინგლისელ კორესპონდენტს ჯეიმს ბერკს ეტყვის: „პირველი გრძნობა, რაც მწვერვალზე ასვლისას განვიცადე, უდიდესი შვება იყო, რომ საჭირო აღარ იქნებოდა საფეხურების გაუთავებელი ჩეხვა, რომ აღარ იქნებოდა ატყორცნილი თოვლის მასა, რომლის ყოველი გამოჩენა გზის დასასრული გვეგონა, მაგრამ თავზე რომ მოვექცეოდით, კვლავ თოვლის მასა აღიმართებოდა ხოლმე ჩვენს წინ."

ზურგზე ხელების ტყაპუნის მერე თენსინგმა თავის წერაყინზე გამობმული გაერთიანებული ერების, დიდი ბრიტანეთის, ნეპალისა და ინდოეთის დროშები ააფრიალა, ჰილარმა კი მას სურათები გადაუღო. მერე თენსინგმა ჰილარს შესთავაზა, ახლა მე გადაგიღებო, მაგრამ ახალზელანდიელმა რატომღაც ეს არ მოინდომა. სამაგიეროდ, ირგვლივ ყველაფერს იღებდა. ამასობაში თენსინგმა თოვლი ამოთხარა და „ცის მბრძანებელს" ტკბილეული შესწირა. იქვე ჩადო გამოტანებული ფერადი ფანქრები, რითაც თავისი ქალიშვილის თხოვნა შეასრულა. ჰილარმა რომ თენსინგი ამ ყოფაში დაინახა, ჰანტის მიერ გამოტანებული თილისმა — შავი ნაჭრის თეთრთვალება ფისუნია გაუწოდა, ესეც აქ დავტოვოთო. მწვერვალზე დატოვეს დროშებიც და თხუთმეტი წუთის მერე, მანამ დაშვებას დაიწყებდნენ, კიდევ ერთხელ დაათვალიერეს მწვერვალი, იქნებ აქ მელორისა და ირვინის ყოფნის კვალს მივაგნოთო, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს.

მეცხრე ბანაკში მათ დახვდნენ ლოუ, ნოისი და პაზანგი, მეშვიდეში — უაილი და რამდენიმე შერპი, მეექვსე ბანაკს ქვემოთ — ტომ სტობარტი თავისი განუყრელი კინოაპარატით, მეხუთეში — შერპები. ბოლოს მეოთხეში, მათ ექსპედიციის ძირითადი ჯგუფი ელოდათ.

„როგორც კი ფეხი შევდგით ცირკის გრძელ, თოვლიან კალთაზე, ისინი ჩვენს შესახვედრად გამოეშურნენ, — იხსენებდა თენსინგი. — თავდაპირველად არ ვაგრძნობინეთ, რომ გამარჯვებულნი ვბრუნდებოდით, მაგრამ ორმოცდაათიოდე მეტრი რომ დაგვრჩა, ლოუმ მეტი ვეღარ მოითმინა და მარჯვენა ხელის ცერი ასწია, მეორეთი კი, რომელშიც წერაყინი ეჭირა, მწვერვალისკენ მიუთითა. ამ წუთიდან ისეთი ზარ-ზეიმი ატყდა, რასაც იქამდე არ მოსწრებოდა ჰიმალაი. ამხანაგები ღრმა თოვლს მოარღვევდნენ და მორბოდნენ ჩვენსკენ. ყველანი ერთმანეთს ვეხვეოდით.

— მართლა? მართლა? — მეათასედ იმეორებდა აღტაცებული ჰანტი და ისევ და ისევ მეხვეოდა. ვინმეს რომ შემოეხედა იმ წუთში ჩვენთვის, ვერავითარ განსხვავებას ვერ დაინახავდა ინგლისელებსა და შერპებს შორის. ყველანი უბრალო მთამსვლელები ვიყავით, მთამსვლელები, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს მწვერვალის იერიში."

მერე კი იყო უდიდესი პატივი, ჯილდოები, ჭორები და ათასი სულელური მითქმა-მოთქმა. ერთნი ირწმუნებოდნენ, თენსინგმა ჰილარი ზურგზე მოკიდებული აათრია მწვერვალზეო, მეორენი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. ზოგმა ამ ამბავს პოლიტიკური სარჩული დაუდო. თენსინგს შეედავნენ, წერაყინზე დროშები მაგ თანამიმდევრობით რატომ აასხიო, ყველაზე მეტად კი ის აინტერესებდათ, მაინც პირველმა რომელმა შედგა ფეხი მწვერვალზეო.

აი თენსინგის მიერ აღწერილი ბოლო ნაბიჯებიც: „მწვერვალამდე დარჩენილი იყო რამდენიმე მეტრი, როცა მე და ჰილარი შევჩერდით, ავიხედეთ ზევით და კვლავ განვაგრძეთ გზა. ჩვენ ერთმანეთთან გვაერთიანებდა დაახლოებით ათმეტრიანი თოკი, ოღონდაც მე ხელზე დახვეული მქონდა თოკის დიდი ნაწილი, ასე რომ ჩვენს შორის მანძილი ორ მეტრს არ აღემატებოდა. მე არ ვფიქრობდი „პირველზე და მეორეზე", არ ვფიქრობდი იმაზე, რომ „იქ ოქროს ვაშლი ძევს, ახლა ხელს ვკრავ ჰილარს და ვაშლიც მე დამრჩება-მეთქი." ნელა მივდიოდით, მაგრამ მტკიცედ, და აი, მივაღწიეთ მწვერვალს. ჰილარიმ პირველმა შედგა ზედ ფეხი, მე კი მეორემ."

ამით დასრულდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველასვლა და მასთან ერთად ჭორებიც.

ავთანდილ გურასაშვილი



ექსპედიციის მეთაური ჯონ ჰანტი



ჰილარი და თენსინგი იერიშის წინ

# ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | 1 | X | 2 | 1ნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი. 38-ე ტური. 17-18 ივნისი** | | | | | | |
| ZARAGOZA - VALENCIA<br>a 0-2 Atletico / h 4-1 Compostela<br>h 0-2 Sevilla / a 0-5 Espanol | 1,2 | 3,0 | 6,5 | 0-3 | 1-0/0-3 | 2-1/1-0 |
| COMPOSTELA - TENERIFE<br>a 1-4 Valencia / h 1-1 Espanol<br>h 2-1 Atletico / a 1-2 Racing | 1,2 | 3,1 | 6,0 | 0-2 | -/- | -/- |
| ESPANOL - R. SOCIEDAD<br>a 1-1 Tenerife / h 0-1 Racing<br>h 5-0 Valencia / a 2-1 Sporting | 1,1 | 3,3 | 7,0 | 0-2 | -/- | 4-1/1-4 |
| RACING - OVIEDO<br>a 1-0 R. Sociedad / h 1-0 Sporting<br>h 2-1 Tenerife / a 0-1 Athletic | 1,8 | 2,0 | 4,0 | 1-3 | 1-2/0-3 | -/- |
| SPORTING - VALLADOLID<br>a 0-1 Oviedo / h 0-1 Athletic<br>h 1-2 R. Sociedad / a 0-1 Albacete | 1,5 | 2,8 | 3,8 | 0-2 | 2-0/1-0 | -/- |
| ATHLETIC - BARCELONA<br>a 1-0 Valladolid / h 0-1 Albacete<br>h 1-0 Oviedo / a 4-1 Logrones | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-1 | 0-0/3/2 | 1-0/1-2 |
| ALBACETE - DEPORTIVO<br>a 1-0 Barcelona / h 5-0 Lodrones<br>h 1-0 Valladolid / a 1-2 Real | 2,0 | 2,0 | 3,4 | 1-2 | 0-0/1-5 | 1-1/2-3 |
| LOGRONES - CELTA<br>a 0-5 Deportivo / h 0-2 Real<br>h 1-4 Barcelona / a 1-1 Betis | 5,0 | 2,0 | 1,6 | 1-0 | 1-1/0-2 | 0-1/0-2 |
| REAL - BETIS<br>a 2-0 Celta / h 2-1 Sevilla<br>h 2-1 Deportivo / h 1-1 Celta | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-0 | -/- | -/- |
| SEVILLA - ATLETICO<br>a 1-2 Betis / h 2-0 Zaragoza<br>a 1-0 Zaragoza / a 1-2 Compostela | 1,3 | 3,0 | 5,0 | 2-2 | 2-1/4-2 | 1-3/0-1 |
| **გერმანია. 34-ე ტური. 17 ივნისი** | | | | | | |
| STUTTGART - DUISBURG<br>a 1-3 Borussia M / h 2-3 Borussia D<br>h 1-0 Freiburg / a 1-4 Eintracht | 1,5 | 2,7 | 4,0 | 0-2 | 4-0/2-2 | -/- |
| BAYERN - WERDER<br>a 3-3 Koln / h 2-1 Karlsruher SC<br>h 2-0 Bayern / a 2-4 Schalke 04 | 3,8 | 3,1 | 1,4 | 0-0 | 2-0/0-1 | 1-3/1-4 |
| KARLSRUHER SC - BOCHUM<br>a 1-2 Werder / h 5-1 Schalke 04<br>h 5-3 Dynamo / a 1-2 B. Uerdingen | 1,5 | 3,0 | 3,4 | 1-0 | -/- | 1-0/2-2 |
| SCHALKE 04 - FREIBURG<br>a 1-5 Bochum / h 1-0 B. Uerdingen<br>h 4-2 Werder / a 0-1 Stuttgart | 2,0 | 2,6 | 2,4 | 0-3 | 1-3/3-2 | -/- |
| B. UERDINGEN - BORUSSIA M<br>a 0-1 Freiburg / h 3-1 Stuttgart<br>h 2-1 Bochum / a 1-1 Borussia D | 2,5 | 2,5 | 2,0 | 0-1 | -/- | 1-3/4-0 |
| BORUSSIA D - HAMBURGER SV<br>a 3-2 Duisburg / h 3-1 Eintracht<br>h 1-1 Borussia M / a 1-4 Kaiserslautern | 1,1 | 3,0 | 10,0 | 4-0 | 2-1/0-0 | 3-1/2-1 |
| EINTRACHT - MUNCHEN 1860<br>a 1-3 Hamburger Sv / h 1-3 Kaiserslautern<br>h 4-1 Duisburg / h 2-1 Koln | 1,3 | 3,2 | 4,4 | 1-2 | -/- | -/- |
| KAISERSLAUTERN - KOLN<br>a 3-1 Munchen 1860 / h 3-3 B. Leverkusen<br>h 4-1 Hamburger / a 1-2 Munchen 1860 | 1,5 | 2,7 | 4,0 | 1-0 | 3-0/2-0 | 1-0/3-0 |
| B. LEVERKUSEN - DYNAMO<br>a 3-3 Koln / h 0-1 Bayern<br>a 2-0 Bayern / a 3-5 Karlsruher SC | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-1 | 1-1/1-1 | 0-0/0-2 |
| **ამხანაგური მატჩი. 19 ივნისი** | | | | | | |
| შვეიცარია - იტალია | 2,5 | 2,5 | 2,0 | | | |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | 1-2 | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-2 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 3-1 | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1-2 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 4-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 2-5 | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | 1-2 | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 6-3 | 1-4 |
| 6 | AC FOGGIA | 2-2 | 3-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 3-0 | ■ | 2-1 | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 0-1 |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | 2-1 | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | 2-2 | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | 0-1 | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 1-3 | ■ | 3-3 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | 3-0 | 0-0 | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | 1-0 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | 2-0 | 0-0 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 0-4 | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-2 | 1-1 | 3-0 |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | 1-0 | 4-0 | 4-1 | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | 3-1 | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 0-3 | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | 2-0 | | 0-0 | 2-2 | 0-0 | 5-0 | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | 0-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 3-1 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 3-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | 1-1 | 1-2 | 0-1 | ■ | 3-2 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | 0-4 | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 1-3 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | 5-0 | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | 2-0 | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | 1-4 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | 0-0 | 1-4 | 0-2 | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | 3-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | 0-0 | | 2-0 | 4-2 | 3-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-3 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 3-2 | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-1 | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | 5-3 | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 | 3-0 | 0-1 | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | 5-0 | 1-1 | 2-2 | 1-3 | 6-0 | 3-1 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 1-2 | ■ | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | 0-0 | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 2-3 |
| 17 | CD TENERIFE | 2-2 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | 3-1 | 4-1 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 0-2 | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | 5-1 | 4-0 | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | 3-1 | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | 2-1 | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 6-1 |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | 1-1 | 1-0 | 4-0 | 3-2 | [illegible] | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | -3 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | 1-1 | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | 4-1 | ■ | 1-2 | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-0 | [illegible] | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 4-1 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | 0-4 | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | 4-1 | ■ | 0-0 | | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | 5-3 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | 2-4 | 2-4 | 2-2 | 3-1 | 2-2 | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | 0-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | 3-3 | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | 2-0 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | 0-0 | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | 3-1 | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | 1-1 | 1-3 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | 4-2 | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | 0-3 | 6-2 | ■ | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | 1-4 | 0-0 | 4-2 | | 4-1 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | 2-1 | 1-3 | 0-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

## რაგბის მსოფლიო თასი. ნახევარფინალი. 17-18 ივნისი

**სამხრეთი აფრიკა - საფრანგეთი 1,3 7,0 2,8**

წინათ აფრიკელები ჯობნიდნენ ფრანგებს: ვიდრე რასისტობისთვის საერთაშორისო სარბიელიდან მოკვეთდნენ, „ქურციკებმა" მეტოქეს 19 თამაშიდან 12 მოუგეს, 3 წააგეს, 4 მატჩი კი ფრედ დასრულდა. აფრიკელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს ევროპაში პირველად სტუმრობისას 38:5 (1913 წელს) და პირველ მეორემსოფლიოომისშემდგომ ტურნეზეც 25:3 (1952). სამაგიეროდ, ფრანგებმა პირველ უცხოურ ტურნეზე, 1958 წლის ზაფხულში სწორედ აფრიკაში რომ გამართეს, სერია სენსაციურად მოუგეს „ქურციკებს" — 3:3 (ქეიფთაუნში) და 9:5 (იოჰანესბურგში). საგულისხმო მერეც ბევრი მომხდარა — ნულოვანი ფრე პარიზში (1961), ფრანგების გამარჯვება ქალაქ სპრინგზში 8:6 (1964). ძველი დროების ბოლო სამ ტურნეზე „ქურციკებმა" „მამლებს" ხუთიდან ხუთი ტესტი მოუგეს: 13:4 და 10:8 (1974, ტულუზსა და პარიზში), 38:25 და 33:18 (1975, ბლუმფონტეინსა და პრეტორიაში) და 37:15 (პრეტორიაში, 8.XI.1980). ამ თამაშში პირველად ითამაშა სერჟ ბლანკომ.

სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის მაშინდელი რაგბის მამების — დანი ქრეივენისა და ალბერ ფერასის ძმობის გამო ყადალაახსნილი აფრიკელები პირველად საფრანგეთს ეწვივნენ. 1992 წლის 17.X ლიონში ტესტში გაიმარჯვა სამხრეთმა აფრიკამ 20:15 (ლელოებით 2-2), პარიზისაში (24.X) — საფრანგეთმა 29:16 (2-1). საპასუხო ტურნეზე საფრანგეთმა იმარჯვა: 1993 წლის 26.VI დურბანში ფრე 20:20 (1-1) ალინუსხა, 3.VII იოჰანესბურგში ფრანგებმა 18:17 (0:1) მოიგეს.

ნახევარფინალის ბინაზე — დურბანში შარშანწინდლამდეც გამართულა აფრიკა — საფრანგეთის ტესტები. 1967 წელს, ძველ სტადიონზე — „კინგსმიდზე" „ქურციკებმა" 26:3 გაიმარჯვეს, 1971 წელს კი ახალზე — „კინგზ პარკზე" მატჩი ფრედ 8:8 დასრულდა.

**ახალი ზელანდია - ინგლისი 1,4 7,0 2,3**

1905 წლიდან მოყოლებული ეს გუნდები 17-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. მოგებათა რიცხვით „ოლ ბლექსი" 13-4 იგებს.

ინგლისმა გაიმარჯვა 1936 წელს, თვიქნემში — 13:0; 1973 წელს, ოქლენდში — 16:10; 1983 წელს, თვიქნემში — 15:9 და სულ ახლახანს, 1993 წლის 27.XI, ისევ და ისევ თვიქნემში — 15 (4ს, ა): 9 (3ს). ბოლო ათწლეულში ამის გარდა მეტოქეებს ერთი მატჩიც გაუმართავთ: 1991 წლის 3.X, მეორე მსოთფლიო თასის პირველ დღეს, თვიქნემში, იმდროინდელმა ჩემპიონმა „ოლ ბლექსმა" 18:12 მოიგო.

ზელანდიელთა დიდი მოგებებიდან ალსანიშნავია 15:0 (1905, კრისტალ პალასზე), 14:0 (1964, თვიქნემში) და 42:15 (1985, ველინგთონში).

შარშანდელი შემადგენლობიდან ინგლისს 11 კაცი ისევ თხუთმეტეულში ჰყავს, კიდევ სამი — თადარიგში. „ოლ ბლექსს" ძირითად შემადგენლობაში შეუნარჩუნებია 8 მოთამაშე, ერთიც თადარიგში ეყოლება, ორი, თუიგამალა და თიმუ კი ლიგის რაგბში გაპქცევია.

**თასის მოპოვება: სამხრეთი აფრიკა — 2,0; ახალი ზელანდია — 2,0; ინგლისი — 3,0; საფრანგეთი — 5,0**



RUGBY WORLD CUP

# ყველას თავისი აქვს საზრუნავი

ხვალ და ზეგ მესამე მსოფლიოს თასის ნახევარფინალებია. შაბათს დურბანში ითამაშებენ სამხრეთი აფრიკა და საფრანგეთი, კვირას ქეიფთაუნში — ახალი ზელანდია და ინგლისი. ორივე თამაში ჩვენებური დროით საღამოს 6 საათზე დაიწყება და პირდაპირ გადმოიცემა ორივე თანამგზავრული ტელეარხით — ჰონკონგის Star TV-ითა და ევროპის კავშირის Euro-Sport-ით.

ნახევარფინალებში, თითქოს განგებამ ინებაო, გუნდები ისე დაწყვილდნენ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროთა შერკინება გაიმართება. თუ ვინ გავა ფინალში ანდა იქაც თუ მოეწყობა მოშულარ კელთა ახლანდელმა წინამძღოლმა ფრანსუა პინარმა, რომელიც მასუკან გუნდის შეუცვლელი ლიდერია.

ამ სამი წლის წინ საერთაშორისო სარბიელზე დაბრუნების შემდეგ „ქურციკებს" მწვრთნელ—მენეჯერთა უკვე მესამე წყვილი თავკაცობთ. შარშანწინ ჯონ ვილიამს (ჩრდ. ტრანსვაალი) — აბი მალანის დუეტი შეცვალეს იენ მაკინტოშმა (ნატალი) და იან ენგელბრეხტმა, მაგრამ ამათ კარგი გუნდი რომ ვერაფრით დააყენეს, საქმეში რაგბის კავშირის თავკერძა პრეზიდენტი ლუი ლეიტი ჩაერია და ქიჩ ქრისთი (ტრანსვაალი) და მორნე დიუპლესი (დას. კონცხი) დააწინაურა. ეს უკანასკნელი ქვეყნის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანია, მაგრამ სულ ბოლო დრომდე რაგბს განდგომოდა.

დიუპლესი მრავალმხრივ განათლებუნძულელებს ოღონდ ფული დაანახე და სულს მერდოქს კი არა, ეშმაკსაც მიჰყიდიან.

ლიგის მხრივ დიდი მოთხოვნილება ყოფილა კიდევ ერთ ზღვისრეთელზე, 20 წლის, 196 სანტიმეტრი სიმაღლის, 116-კილოიან ჯონა ლომუზე, რომელიც ზელანდიის „ოლ ბლექსში" თამაშობს, მაგრამ წარმოშობით ტონგელია. ლომუ პირდაპირ აუკლია სხვადასხვა ჯურის ხალხს: ბოლო ექვს დღეში მისთვის 220-ჯერ დაურეკავთ, რომელილაც ერთ დღეს კი — 84-ჯერ! ამაზე ლომუს დაუჩივლია, ნორმალური ადამიანი ვარ და ღამის ოთხ საათზე ძილი მსურსო, ნაკრების პრეს-სამდივნოს კი მისი ვიდეო-ინტერვიუ მოუმზადებია და ყველა ცნობისმოყვარეს სთავაზობს, ოღონდაც ამათ ზელანდიელთა დიდი იმედი არ შეაწუხონ.

სარაგბო ფილოსოფიათა შეჯიბრი, მალე შევიტყობთ, აი, ბუქმეიქერები კი სამხრეთელთა შანსებს უპირატესად აფასებენ. ჩვენი „კროკოსი" რომ არაფერი ვთქვათ, თვით იოჰანესბურგელი ნიძლავთუხუცესები ზელანდიის მიერ თასის მოპოვებაზე ფსონებს 2:1 შეფარდებით იღებენ. სამხრეთი აფრიკისთვის კოეფიციენტია 9:4, ინგლისისთვის 4:1, ხოლო საფრანგეთისთვის 9:1.

არადა, ფრანგმა „მამლებმა" თამაშ-თამაშ გაალწიეს ნახევარფინალში და კაცმა არ იცის, იქ კიდევ რას მოიმოქმედებენ. გალებს ამისი უნარი ნამდვილად შესწევთ. ისინი არ იყვნენ, 1987 წელს, პირველი მსოფლიო თასის ნახევარფინალში ფავორიტი — ავსტრალია რომ გააგდეს, თანაც მისსავე მოედანზე და ისიც ბოლო წუთზე. ანაც „მამლების" შარშანდელი ზელანდიური ტურნე გავიხსენოთ, სადაც მათ „ოლ ბლექსი" ჯერ 22:8 დააყუმბარეს, მერე კი თუმც აგებდნენ, ბოლო წუთზე სასწაული ლელო გაიტანეს და 23:20 მოიგეს.

ფრანგებმა ამ მსოფლიო თასზეც გამოამჟღავნეს შესაშური შეუპოვრობა და შოტლანდიას ისევ და ისევ ბოლო წუთზე გატანილი ლელოთი აჯობეს მატჩში, რომელსაც ბოლო ათწუთეულამდე უიმედოდ აგებდნენ, ირლანდიას კი მეოთხედფინალი უსიტყვოდ მოუგეს. ერთი ეგ იყო, რომ 10 ნომერმა — ბებერმა დეილომ თავი ხეირიანი ვერაფრით გამოიჩინა და თავისიანებს ლამის შეუშალა ხელი, თორემ სხვაფრივ ფრანგები ათლეტურადაც მშვენივრად არიან მზად, დამრტყმელი — ლაკრუა გადასარევი ჰყავთ, ხოლო ბურთაობაში მათ საერთოდ ვერავინ შეედრება და თამაშის ალღოთიც ალბათ ყველას სჯობიან.

საფრანგეთს მასპინძლებისა არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან ორი წლის წინ სტუმრად ერთობ ყოჩაღად ეთამაშა და ტესტსერია მოუგო. გადამწყვეტ, მეორე ტესტში ფრანგებმა ლელოთა მაგივრად საჯარიმოები და არეკნები გაიტანეს, „ქურციკების" მაშინდელ დამრტყმელ ფანრენსბერგს კი ბოლო წუთზე ურთულესი საჯარიმო სულ ოდნავ გაუცუდდა. იმ სერიაში გუნდს პირველად უკაპიტნა აფრიკელი პიროვნებაა, ამიტომ დინჯად და ვაჟკაცურად შეხვდა კანადასთან ჩხუბის შემდეგ დოლტონისა და ჰენდრიქსის დისკვალიფიკაციას. არც საჩივარი შეუტანია, აქაო და ეგენი ისე მოიქცნენ, რა პირით უნდა ვითხოვოთ შეწყალებაო. ისე კი, სამოასთან მოგებული მეოთხედფინალიც არ გამომდგარა უშფოთველ-მშვიდობიანი. ზღვისრეთელებმა, კერძოდ კი მცველმა მაიკლ უმაგამ შაიბიანი ჰოკეის ძალიხმიერი მეთოდებით დაამტვრიეს „ქურციკების" მცველი ანდრე ჟუბერი და არც 9 ნომერ იუსტ ფანდერვესტჰოიზენს დააყარეს უკეთესი დღე, რის გამოც 90 დღით აუკრძალეს თამაში, მაგრამ აპელაციის შემდეგ სასჯელი 60 დღემდე დაუყვანეს.

ვითომც არაფერიაო, დამარცხებული სამოას კაპიტანმა პეტ ლემმა მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე ურცხვად განაცხადა, მასპინძლებმა აქეთ გვცემეს და მთელი თამაში მათს უხამსობას ვითმენდით, ვინაიდან რასისტულად გვაგინებდნენო. ლემს არც შოტლანდიელი ჯიმ ფლემინგის მსაჯობა მოსწონებია — ერთიანად აბუჩად აგვიგდოო, რაც არ გამკვირვებია, ვინაიდან როცაკი სამოას თამაში უმსაჯია, ყოველთვის მეტოქეს მიმხრობიაო (?!).

სამოელებმა ერთობ მწარედ განიცადეს წაგება. მეოთხედფინალის წინ მათი ზელანდიელი ტექნიკური მრჩეველი ბრაიან ვილიამსი ტყუილად როდი ამბობდა, თუ წავაგებთ, სამოას რაგბის მზე ჩაესვენებაო (?!). საქმე ისაა, რომ ბოლო წლებია, სამოა გაუტანჯავს მოუსავლიანობას, რაგბი კი დამშეულ ხალხს ერთადერთ გულისგადასაყოლებელ საშუალებადღა დარჩენია. ისიც ცხადია, რომ წელსვე სამხრეთული რაგბი ფაქტობრივად პროფესიული ხდება. სამი ბობოლა — ზელანდია, აფრიკა და ავსტრალია თავისთვის დიდი ჩემპიონატის მოწყობას აპირებს, ციცქნა და თანაც ძლეულ სამოას კი მას ახლოსაც არ გააკარებს. სამაგიეროდ, ზელანდია კვლავაც გადაიბირებს საუკეთესო სამოელებს, ხოლო რუპერტ მერდოქის ლიგის რაგბის „სტარ ლიგა" ალბათ სულ მთლად გაატყავებს სამოურ სამოყვარულო რაგბს — ლატაკ კუ-

ლომუს ამ მსოფლიო თასამდე ნაკრებში ორად ორჯერ ეთამაშა — საფრანგეთთან წაგებულ ტესტებში. მაშინ ჯეელი ტანკისთვის დაცვაში თამაში დაუწუნებინათ. ამბობენ, ლომუ ახლა ბევრად კარგად იცავს ლელოსო, რასაც არა გვგონია, ტელერეპორტაჟების ჩვენებური მხილველები დაეთანხმონ.

ლომუს დასაჭერად ინგლისს დიდი მუშაკობა მოუწევს. ბრიტანულ მედიას კიდეც უხუმრია, ნეტავ ლომუმ ველარ მოასწროს ჩვენებთან თამაში — ლიგის რაგბის სვავებმა ნახევარფინალამდე გადაიბირონო. ისე კი, ზელანდიას უკვე დაუმარცხებია სამი ბრიტანული გუნდი — ირლანდია, უელსი და შოტლანდია და ახლა თუ ინგლისსაც მოერევა, მსოფლიო თასების ხანმოკლე ისტორიაში პირველი გააზერხებს ბრიტანულ დიდ სლემს.

ინგლისმა მეოთხედფინალში მსოფლიო ჩემპიონ ავსტრალიას მოუგო და შინ ნაადრევად გაისტუმრა. არადა, „ვოლაბთა" მწვრთნელ ბობ დვაიერს ნაკრების მთელი სეზონი საგულდაგულოდ დაეგეგმა და სამხრეთ აფრიკაში შეჯიბრების ბოლომდე უპირებდა დატოვებას. მეტიც, ავსტრალიის რაგბის კავშირს მსოფლიო ჩემპიონობის შესანარჩუნებლად მთელი პროგრამაც შეემუშავებინა და მისთვის მალალფარდოვნად „მიშნ რიფით" ეწოდებინა — აქაო და ამ ბიჭებს მისხია აკისრიათ, ოთხი წლის წინანდელი ტრიუმფი რომ გაიმეორონო.

„ვოლაბები" ჩაფლავდნენ. თასებს შორის ოთხი წელი კარგად განვლეს, მაგრამ ზედ მსოფლიო თასზე დაუდგათ ჩავარდნა. კარგად დაიწყეს „ქურციკებთან", მაგრამ მერე მონუსხულებივით დადგნენ. ინგლისთან, პირიქით, თავიდან გაუჭირდათ; მერე ათამაშდნენ და სულ ბოლომდე წინაც იყვნენ, მაგრამ როცა საჭირო გახდა, ანგარიშიც ვერ შეინარჩუნეს. მათი, ერთ დროს მრისხანე, უკანა ხაზი უმწეოდ გამოიყურებოდა, შაბლონურად ათამაშებდა ბურთს და მისი ხელიდან გავარდნისა ეშინოდა. ინგლისთან ოდენ სამმა კაცმა ივაჟკაცა: მცველმა ბერქმა, გარემარბმა სმითმა, და კიდევ აყლაყუდა მორკინალმა ილზმა,



რომელიც ჩვენი გია რაფავას ყაიდის უდიდესი მოთამაშეა. ქემფიზი და ლაინაფი თითქმის უშეცდომოდ გაისარჯნენ, მაგრამ ამათმა ბებრულმა სიბრძნემ ინგლისის დასამარცხებლად ვერ იკმარა.

შინ დაბრუნებულ „ვოლაბებს" სისხლსავსე ცხოვრება ელით: 8 და 15 ივლისს ახალი სამხრეთი უელსი და ქვინზლენდი გამართავენ ორ ტრადიციულ თამაშს, 22 და 29 ივლისს კი გარდამავალი „ბლედისლოუს თასისთვის" ავსტრალია ორ ტესტს გაუმართავს ახალ ზელანდიას, რომელიც იმ დროისთვის იქნებ მსოფლიოს ჩემპიონიც იყვეს. მეორე ტესტი, სიდნეიში რომ უნდა გაიმართოს, იმთავითვე საიუბილეოდ, მეასედ შეეგულებინათ ძველ მეტოქეებს. ნუთუ წინდაწინვე იგრძნეს, რომ მსოფლიო თასზე ერთურთს ასცდებოდნენ?

ამთავითვე ცხადია, რომ მომავალი სერიალი გედის სიმღერა იქნება „ვოლაბთა" მწვრთნელ ბობ დვაიერისთვის, რომელიც 1987 წელს, ალან ჯოუნზის მარცხის შემდეგ ალზევდა და მერე ყოველ მეორე წელს უხდებოდა კონკურენტთა შეტევების მოგერიება. მოსალოდნელია, რომ დვაიერის პოსტზე სამხრეთული სეზონის ბოლოს აირჩევენ ჯონ ქონოლის, ვისი წინამძღოლობითაც ქვინზლენდმა ბოლო წლებში არნახულ წარმატებას მიაღწია.

თამაშისათვის თავის დანებებას ფიქრობენ მსოფლიოს პირველი დამრტყმელი ლაინაფი და პირველი მელელოვე ქემფიზი. სხვა ავსტრალიელებს შინ დიდი საცდური ხვდებათ: უნდა გადაწყვიტონ, მერდოქის ლიგაში გადავიდნენ თუ კვლავაც „სამოყვარულო" რაგბში დარჩნენ იმის იმედად, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ) აგვისტოში, პარიზის სხდომაზე ისე შეცვლის მოყვარულობის კანონებს, რომ მათგან ოდენ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები დარჩება. ისე კი, ქემფიზის განუცხადებია, ლიგის რაგბში არასგზით გადავალო.

დიდი რაგბისთვის თავის მინებებას აპირებდა სქოთების კაპიტანი გევინ ჰეისთინგსიც, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ მას ახალი ზელანდიის უკიდურესი სამხრეთი პროვინცია — საუსლენდი (ინვერქარგილი) თავისთან ეპატიჟება. ჰეისთინგსი ამ წინადადებას შეიძლება იოლად დაყაბულდეს, ვინაიდან კარიერას ერთობ კოლორიტულ გარემოში დაასრულებს.

ბოლოს, პარალიზებული სპილოს ძვლის ნაპირელი მაქს ბრიტოს შესახებ. იგი იმდენად მოკეთებულა, რომ პრეტორიიდან შინ, საფრანგეთს გააგზავნეს, სადაც ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს. ბრიტოს ფულით დიდად შეეწივნენ როგორც მსოფლიო თასის ორგანიზატორები, ასევე სამხრეთაფრიკული ფონდი, მავანი პარალიზებული მოთამაშის სახელობის რომაა.

უჩა დავითაშვილი

# ამ «ყოჩებს» რას გაუგებ...

| საქართველოს პირველობა |
| --- |
| პირველი ჯგუფი |
| 13.VI. ვაკე |
| სინის მესამე გათამაშება |
| გუმარი 31 (18) — ყოჩები 13 (13) |

მსაჯი ავთო ლიბრაძე (41+42)

გუმარი (მფლობელი): ი. ლეჟავა; ძაგანელი (მარჯანიშვილი, 42), მგელაძე, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, შ. მოდებაძე (ნ. ხვედელიძე, 70); ჩიქავა, ბერიაშვილი, მთიულიშვილი (ცაბაძე, 42); გაგნიძე (დიდებულიძე, 42), მჭედლიშვილი; სორდია (მაგრაქველიძე, 61), ზ. ლეჟავა, კობახიძე (ზ. მოდებაძე, 56). — 4ლ: ბუგიანიშვილი (5, 21), მარჯანიშვილი (59), ცაბაძე (70); გ (21) და 3ს (31, 41, 55): შ. მოდებაძე.

ყოჩები (მოცილე): ძამიაშვილი; მხეიძე, ... ბარძიმიშვილი (დუგლაძე, 2), ნიკლაური; ტეფნაძე, ჭეიშვილი; ესაკია, ჩიქოვანი, მაცაბერიძე (კიკუაშვილი, 71); სულთანიშვილი, გოგეშვილი; ლაზაშვილი, ცხვედიანი (კიკუაშვილი, 27, დროებით), ურუშაძე. — ლ: ტეფნაძე (9); გ: ძამიაშვილი; ს (17) და ა (35): ტეფნაძე

„სარბიელის" სინის მესამე გათამაშება საღამოს შვიდ საათზე კი დაიწყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხელოდა. მფლობელ „გუმარს" გარკვეულწილად სათადარიგო შემადგენლობა გამოეყვანა, მესამე ხაზი კი მთლიანად განსხვავდებოდა „აიასთან" სათამაშოდ გამწესებულისაგან.

პირველმა ნახევარმა თანაბარ თამაშში ჩაიარა. „ყოჩებს" თავიდანვე დაუშავდათ შუამარბი ბარძიმიშვილი, მერე კი ტეფნაძემა და ცხვედიანმაც ტრავმები მიიღეს.

„გუმარში" ისევ გაიბრწყინა მაჩიტიძემ, რომელიც 10 ნომრად თამაშობდა. მისი საზრიანობით ბუგიანიშვილმა ორი ლელო გაიტანა, „ყოჩების" ლელო კი აბრაგანის შემდეგ გავიდა.

შესვენების შემდეგ „გუმარმა" რამდენიმე ცნობილი მოთამაშე ჩააბა თამაშში და უფრო ეშხიანად ათამაშდა. მე-7 წუთზე ჯერ ბერიაშვილმა, მერე ჩიქავამ, ბოლოს კი ცაბაძემ სოლივით შეუტიეს. მერე ზ.მოდებაძის გარღვევის შედეგად მარჯანიშვილმა ნახტომით ლელო გაიტანა. მეორე და მესამე ლელოებს შორის შ.მოდებაძემ სამი საჯარიმო შეაგდო, მეოთხე ლელოს შემდეგ კი ცხადი შეიქნა, რომ სინი „გუმარს" დარჩებოდა.

ამ მომენტისთვის ტრიბუნაზე ხმა დარხეულიყო, „ყოჩები" არც ამჯერად ეცილებიან სინს მეტოქესო, რის გამოც „გუმარის" პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს შეუნიშნავს, თუკი ასეა, მაშ დამწესებლებმა რაღას მომატანინეს ჯილდო სტადიონზეო.

აქამდეც ცნობილი იყო, „ყოჩები" ცოტა უცნაური გუნდი რომ იყო, მაგრამ მაინც გაუგებარია, რატომ არ თამაშობს სინისთვის: თუ წააგებს, ხომ არაფერს კარგავს,

მეორე ჯგუფი

8.VI: ყოჩები — გელათი 20 (9) (ლ, 4ს, ა) : 9 (6) (2ს, ა). რაში — დინამო 0:0 (თამაშის დროს კოკისპირულად განვიმდა)

9.VI: ლელო — აკადემია 12 (4ს) : 11 (ლ, 2ს). დელფინები (ბათუმი) არ ეწვია უნივერსიტეტს, რისთვისაც წაგება მიესაჯა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| რაში | 6 | 4 | 1 | 1 | 64:30 | 6-3 | 9 |
| უნივერს. | 5 | 3 | 2 | 0 | 41:38 | 5-4 | 8 |
| ლელო | 5 | 3 | 1 | 1 | 60:52 | 4-5 | 7 |
| აკადემია | 6 | 3 | 0 | 3 | 70:77 | 8-9 | 6 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 40:26 | 6-3 | 5 |
| გელათი | 5 | 2 | 0 | 3 | 53:60 | 3-4 | 4 |
| ყოჩები II | 6 | 1 | 1 | 4 | 79:107 | 9-14 | 3 |
| დელფინ. | 6 | 1 | 0 | 5 | 58:75 | თ7-6 | 1 |

ხოლო თუ მოიგებს, ვეჭვობთ, ჯილდო სათანადო ადგილზე ვერ შეინახოს. ჩვენი მხრივ გავიმეორებთ, რომ სინი იმისთვის სულაც არ დაგვიწესებია, მხოლოდ ორი გუნდი — „გუმარი" და „თბილისი" რომ ეჯიბროს მის მოსაგებად ერთი მეორეს.

თამაშის ბოლო ათ წუთში ისევ „ყოჩებმა" იძალეს. კარგად შეუტიეს შერკინებამ, ცხვედიანმა, ძამიაშვილმა. სულ ბოლო წუთზე, ჭეიშვილის აბრაგანის შემდეგ „ყოჩებმა" „გუმარის" მცველი მარჯანიშვილი ბურთიანად დაიჭირეს და მისსავე ლელოში შეიყვანეს, მაგრამ ამ დროს თამაშიც დამთავრდა. აი, ხუთი წუთის წინ კი მარჯანიშვილმა თავისი 22-მეტრიანი მოედნიდან წაიღო ბურთი და ისე გაიქცა, რომ სამი ადევნებული მეტოქე ლელოსთან ძლივს დაეწია. „მარჯანამ" ბურთი გადაუგდო 9 ნომრად გადასულ ი. ლეჟავას, ამის პასს კი, ვაგლახ, ალღო ვერ აუღო ხვედელიძემ, თორემ „გუმარი" მეხუთე ლელოსაც გაიტანდა. ამ მომენტმა ერთობ აფორიაქა დამსწრე საზოგადოებრიობა.

შემდეგ სამშაბათს სინი უეჭველად გათამაშდება. „გუმარს" ჩემპიონატის პროგრამით ეთამაშება „თბილისი", რომელსაც წინა ორ ჯერზე ხელი მოეცარა, მერე კი, საპირველივნისოდ დააპირა მფლობელის ჩემპიონატისგარეშედ გამოწვევა, მაგრამ მოთამაშეთა მოჭარბებული ტრავმების გამო განზრახვაზე ხელის აღება მოუხდა.

ზაზა ფხაკაძე

## გერმანია გვეწვევა

FEDERATION INTERNATIONALE DE RUGBY AMATEUR

8 ივნისს გარკვეულა ფირას (სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის) 1995-96 წლების ჩემპიონატის სტრუქტურა. საქართველო ერთ-ერთ „ბ" ჯგუფში ჩეხეთთან, ჰოლანდიასთან, გერმანიასა და დანიასთან ერთად მოხვედრილა, რაც ერთობ სასიამოვნო ამბავია, რაკილა ეს გუნდები თუმც ვერ მოვლენ მსოფლიო რაგბის ვერც გრანდებთან და ვერც იტალიის რანგის გუნდებთან, მაგრამ მაინც მთელი თავით მაღლა დგანან ჩვენების გინდ შარშანდელ და გინდ შარშანწინდელ მეტოქეებზე: ბულგარეთზე, მოლდოვაზე, შვეიცარიაზე, ლუქსემბურგზე და მათნაირებზე.

15 ოქტომბერს საქართველო გერმანიას უმასპინძლებს. ამის გამო ჩვენს რაგბის კავშირს შეხმიანებია არა ფირას პარიზის ოფისი, არამედ თავად გერმანიის რაგბის კავშირი.

ჩარლზ ბარკლი ვერც მეათე ცდით გახდა **NBA**-ის ჩემპიონი. მისმა „ფინიქს სანზმა", შარშანდელივით, 99 პროცენტით მოგებული სერია დაუთმო „ჰიუსტონ როკიტსს". თუ „სერ ჩარლზის" ნათქვამს ვირწმუნებთ, მან მომავალი სეზონიდან კალათბურთს თავი უნდა დაანებოს. თუმცაღა, ბარკლიმ უკვე ორჯერ გადათქვა წასვლის გადაწყვეტილება.

სანამ ბარკლი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მანამდე „შპორტ-ბილდში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს გავეცნოთ. უამრავ საგულისხმოსთან ერთად, აქ იმის შემჩნევაც შეიძლება, თუ როგორ შეუძლია სპორტს ნორმალურ საზოგადოებაში ნიჭიერი კაცი ცხოვრების ფსკერიდან მწვერვალებამდე აიყვანოს.



# სერ ბებიკოს ჩარლზი ბიჭია

**— ყველა თეთრკანიანი გძულთ?**

— მე მეგობრებს ვეხუმრე, მედიამ კი ჩემი ნათქვამი გაბუქა, მაგრამ ეს დიდად არ მაღელვებს.

**— კარიერის მანძილზე როგორ არ გლანძღავდნენ, რას არ გიწოდებდნენ. გაიხსენეთ ყველაზე მწარე მეტსახელი.**

— ბოლმის ბუშტი, ლოთი, დონდლო, ღორი ტრამპლინზე... წარმოგიდგენიათ, ტრამპლინზე მდგომ ღორს შემადარეს. ჯერ კიდევ კოლეჯში ამბობდნენ: ბარკლი ზედმეტად სქელი და საკმაოდ დაბალია დიდი კალათბურთისთვისო.

**— კმაყოფილი ხართ იმით, რომ კრიტიკოსებს სალაპარაკო წაართვით?**

— მე ვამაყობ ამით! ჩემს თავში ეჭვი არასდროს შემპარვია.

**— საიდან ასეთი თავდაჯერება?**

— ერთი წლის რომ ვიყავი, მამამ მიგვატოვა. ჩემით უნდა გამეკვლია გზა. გეტოში ვიზრდებოდი, არანორმალურ პირობებში. იქ მხოლოდ ძლიერებს შეეძლოთ თავის გადარჩენა.

**— ძალაუფლების მოყვარული ხართ?**

— არის ამაში სიმართლის მარცვალი, მაგრამ მინდა ერთი ისტორია მოგიყვეთ. როცა ბებიაჩემი დილაობით მაცმევდა, მეუბნებოდა: „ისე უნდა მოიქცე, სარკეში ჩახედვა არ შეგრცხვეს". მე ამ დამოძღვრის ერთგული ვრჩები. ამას ძალიან ბევრი მოთამაშე ვერ დაიკვეხნის.

**— რას ნიშნავს თქვენი სიტყვები?**

— მე მაცოფებს, როცა ზოგიერთი კალათბურთელი ყველა ხერხს მიმართავს, რათა სუფთა იმიჯი შეიქმნას. იმათ კი, ვინც სიმართლეს ამბობს, საზოგადოება თავისგან გარიყავს ხოლმე. ჩვენ ყველა ვცდებით, რადგან ადამიანები ვართ და არა ანგელოზები.

**— რაში შემცდარხართ ცხოვრებაში?**

— ბავშობაში ვქურდობდი ხოლმე, კოლეჯში კი მარიხუანას ვეტანებოდი. რა თქმა უნდა, ამით არ ვამაყობ, მაგრამ ამის დამალვაც არც მინდა და არც შემიძლია.

**— არ გსურთ მოზარდებისთვის სამაგალითო იყოთ?**

— მე იმისთვის არ ვარ გაჩენილი, ბავშვებისთვის კერპი რომ ვიყო. მე კალათბურთის თამაშისთვის მიხდიან ფულს და არა იმისთვის, რომ მომავალი თაობებისთვის სანიმუშო ვიყო. კალათბურთელებს ჰოლივუდის ვარსკვლავებთან შედარებით, ცოტა ფულს გვიხდიან. მაიკლ ჯორდანი წელიწადში მხოლოდ ოთხ მილიონ დოლარს იღებს, როცა ბრუს ვილისს ერთ ფილმში 15 მილიონს უხდიან.

**— კარიერის დასრულების შემდეგ, თუ თქვენი სურვილისამებრ ალაბამის გუბერნატორი გახდით, უფრო ცოტა ფულს გადაგიხდიან.**

— ჩემთვის ფული მნიშვნელოვანი აღარაა. მე ის საკმარისად მაქვს.

**— შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამერიკის პრეზიდენტი ჩარლზ ბარკლი?**

— რატომაც არა! მე ახლავე შემიძლია გავხდე პრეზიდენტობის კანდიდატი.

**— როგორ? თქვენ ხომ მხოლოდ 32 წლის ხართ.**

— დიახ. მაგრამ თავს გაცილებით მოხუცად ვგრძნობ. ჩემი სხეული მეუბნება, რომ მე მისი იგნორირება აღარ შემიძლია. ასეთი ტკივილებით კიდევ ერთ სეზონს ვეღარ ვითამაშებ.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ჩემპიონობა ვერ მოიპოვეთ, თამაშს თავს ანებებთ?**

— თუკი ჩემპიონობა ვერ მოვიპოვე, მომავალ სეზონში ვნახავ, როგორ ვიგრძნობ თავს. მე საოცარი დრო მაქვს **NBA**-ში გატარებული, ამიტომ არაფერზე ვინანებ.

## მარტინა თამაშს აპირებს



მსოფლიო ჩოგბურთის ელიტას სამზადისი გაუხურებია დიდი სლემის მესამე შეჯიბრებისთვის — სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბის ღია პირველობისთვის, ლონდონის არისტოკრატიული უბნის — უიმბლდონის ბალახის მოედნებზე რომ იმართება. ამ კვირაში ქალები ბირმინგემის ტურნირში ემზადებიან, ვაჟები კი ლონდონისავე ქვინზ ქლაბში და ჰოლანდიის ქალაქ როზმალენში.

ქვინზ ქლაბში ფინალში გასვლის უდავო ფავორიტებად მიიჩნევიან ამერიკელი პიტ სამპრასი და გერმანელი ბორის ბეკერი. პირველ წრეში ერთმა დაამარცხა ამერიკელი ჯონათან სთარქი 7:6, 6:3. მეორემ კი — ბრიტანელი საფსვორსი 6:1, 6:2. შვეიცარიელმა მარკ როსემ სამ ხელში აჯობა ავსტრალიელ თოდ ვუდბრიჯს, მაგრამ წააგეს და გავარდნენ ამერიკელი დევიდ ვითონი, რუსი ალექსანდრ ვოლკოვი და ავსტრალიელი პატ რაფტერი.

როზმალენში პირველ, მეორე და მესამე ნომრებად მასპინძლები — რიხარდ კრაიჩეკი, იაკო ელტინგი და პაულ ჰაარჰუსი არიან განთესილი. ამ უკანასკნელმა სამ ხელში დაამარცხა ფრანგი ანრი ლეკონტი.

ოთხშაბათს გაირკვა, რომ მსოფლიოს მე-11 ჩოგანს, შვედ მაგნუს ლარსონს ექვსი კვირა გაუცდება. ეს ჩოგბურთელი შვედეთის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში ახალი კორტის გახსნაში მონაწილეობდა და ისე გასრიალდა, რომ კოჭი ორ ადგილას მოიტეხა. რაც შეეხება საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულს, ავსტრიელ თომას მუსტერს, ამ ბოლო წარმატების წყალობით იგი მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველად კარიერის მანძილზე მესამე ადგილამდე აღზევდა. მუსტერმა იშვიათი რამ შეიძლო: თიხნარზე ზედიზედ 35 მატჩი მოიგო.

უიმბლდონში თამაშს აპირებს 40 წელს მიტანებული მარტინა ნავრატილოვაც, ვინაც საშეჯიბრებო ჩოგბურთს თავი შარშან, წლის დამლევს დაანება. ერთეულთა თანრიგში ცხრაგზის ჩემპიონი ქალი შეამხანაგებია შტეფი გრაფსა და ჯონ მაკინროუს და მათთან ერთად უიმბლდონის წყვილთა ტურნირებში ასპარეზობას აპირებს, თუმც ნავრატილოვა — მაკინროუს მიქსთის შეჯიბრებაში მონაწილეობა მნიშვნელოვნად ყოფილა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოიცლიან სატელევიზიო კონტრაქტებით დაბმული გარდასულ დღეთა ვარსკვლავები.

## დაგეშვა არ სჭირდებიათ

ხვალ საღამოს ლას-ვეგასის უპირველეს „ემ-ჯი-ემ ოტელში" დიდი კრივია მოსალოდნელი — კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) მძიმეწონოსან ჩემპიონს, ამერიკელ რიდიქ ბოუს ტიტულს უნდა შეეცილოს ხორხე ლუის გონზალესი, ვინაც თავის დროზე სოციალისტური კუბიდან გაქცეულა, ახლა კი შავი ულვაში მოუზრდია, თავი სანახევროდ გადაუხოტრავს და თუ გაიმარჯვა, პროფესიული კრივის ისტორიაში პირველი ესპანურად მეტყველი და თანაც უმაღლესი — ორმეტრიანი მძიმეწონოსანი ჩემპიონი გახდება.

კრივის მარკეტინგის განუყოფელი ნაწილი ყოველთვის ყოფილა მონაწილეთა მიერ ერთმანეთის საჯაროდ ლანძღვა, ბრძოლამდე მუშტების ღერება და მისთანები. იმპრესარიოები ხშირად საამისოდ კიდეც აქეზებენ მოკრივეებს, ბრბო რომ გაახელონ.

ხვალინდელი შერკინება ამ მხრივ გამონაკლისია. მეტოქეებს წაუსისინებლადაც თურმე ისე სძულთ ერთმანეთი, რომ ორგანიზატორებსაცა და ოტელის მეპატრონეებსაც საფიქრალი ისა ჰქონიათ, შერკინებამდე მოკრივეები რამენაირად ერთმანეთს გაარიდონ. ამისთვის სასტუმრო კომპლექსი აუვსიათ უსაფრთხოების აგენტებით, რომლებიც ბოუსა და გონზალესს ფეხდაფეხ დასდევენ და ერთი მეორის სიახლოვეს არ აჭაჭანებენ.

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და ნევადის შტატის კრივის მამებს გადაუწყვეტიათ, რომ მატჩისწინა პრესკონფერენცია საერთოდ არ გამართონ, ემანდ მეტოქეებმა ძველებურადვე ერთმანეთს ჭიქების სროლა არ დაუწყონო. აწონვაც ცალ-ცალკე მოეწყობა, ნახევარი საათის ინტერვალით. კიდევ კარგი, რომ ემ-ჯი-ემს უდიდესი [illegible]

ბოუ და გონზალესი სამოყვარულო რინგზე უკვე შეხვედრიან ერთმანეთს. [illegible]

ამავე [illegible] კიდევ ერთი [illegible], 29 ივლისს [illegible] რომ უნდა გამართულიყო, გადადეს. [illegible] კარიერის პირველი მარცხი აგემა.

ვალერი ჯიქია

## დეტროიტი — ნიუ-ჯერსი

**ნახევარფინალები**

დეტროიტი — ჩიკაგო 4-1 (2:1, 3:2, 4:3, 2:5, 2:1). ძლიერ მეტოქესთან 3 თამაში დეტროიტმა ოვერტაიმებში მოიგო, აქედან ორი — მეორე ოვერტაიმში. ჩიკაგოელებმა შეძლეს ფიოდოროვის სამეულის ნეიტრალიზება, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვიაჩესლავ კოზლოვმა მაინც გაიტანა ამ სერიაში თავისი ერთადერთი, გამარჯვების გოლი სერგეი ფიოდოროვის პასით. ფიოდოროვი მიუახლოვდა თასის ბომბარდირ რონ ფრენსისს: 19 (4+15) — 20 (6+14) წინაალმდეგ. დეტროიტელთაგან საუკეთესონი პოლ კოფი (1+3) — ნიკლას ლიდსტემის (2+3) მცველთა წყვილი და ფორვარდი კეიტ პრიმო (2+2) იყვნენ. ჩიკაგომ ხუთივე თამაშში გახსნა ანგარიში, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. სერია მშვენივრად ჩაატარეს 34-წლის ვეტერანმა დენის სავარმა — 6 (4+2) და ჯო მერფიმ 4 (3+1). ეს უკანასკნელი გუნდის საუკეთესო გოლეადორი გახდა 9 გოლით, მაგრამ დეტროიტი უფრო ძლიერი იყო. შარშანდელივით, ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი სტენლის თასის ფინალში გავიდა. დეტროიტს, პირველად 1966 წლის მერე, აქვს თასის მოპოვების შანსი.

ფილადელფია — ნიუ-ჯერსი 2-4 (1:4, 2:5, 3:2, 4:2, 2:3, 2:4). როდესაც შარშან, რეინჯერზთან წაგების შემდეგ ნიუ-ჯერსის მწვრთნელმა ჟაკ ლემერმა განაცხადა: გაისად უკეთ ვიასპარეზებთ თასზეო, ბევრი სერიოზულად არ გამოჰკიდებია ამ სიტყვებს, თანაც რეგულარულ სეზონში „ეშმაკებს" თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ. სტენლის თასზე გუნდი გარდაისახა. ითამაშა ხისტი, პოზიციური ჰოკეი დაცვაზე აქცენტირებით და უკვე გაანადგურა სამი ძლიერი მეტოქე. ნახევარფინალში ნიუ-ჯერსიმ მშვენივრად გადაწყვიტა ლინდროსის და კომპანიის ამოცანა. „ეშმაკებმა" იოლად მოიგეს ორი გასვლითი შეხვედრა და მესამესაც, შინ, იგებდნენ, რომ არა კევინ ბრინდამორის კურიოზული გოლი ბოლო წუთებზე — 2:2, შემდეგ კი ლინდროსმა თქვა თა-[illegible] — ფინალში გავიდა.

სამველ ღარიბიანი

ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (ფიჰ) ჭეშმარიტების გზას დაადგომია — ოფიციალურად დაუშვია პროფესიონალიზმი, ამ სტატუსის მქონე მოთამაშეთათვის კი ეროვნულ ნაკრებში თამაშის ნება დაურთავს, რასაც აქამდე, თურმე [illegible] იტყვით, უკრძალავდა (!?) ინდოეთის ქალაქ ჩანდიგარახში გამართული „ინდოეთპანამერიკული [illegible] გეს მასპინძლებმა, [illegible] შით 2:2 დაამარცხეს აშშ და არგენტინა, კანადასთან კი ფრედ [illegible] 1:1 დასრულდა.

*

წყალჩომარდობის საერთაშორისო ფედერაციამ გერმანელ მოცურავე ქალ სილვია გერაშს მაინც არ მოუხსნა ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია, **1993** წლის ევროპის ჩემპიონატში კოფეინის ხმარების გამო რომ მისცა, რის შედეგადაც გერაშს ატლანტის ოლიმპიადა დაუცდება. რუსმა დენის პანკრატოვმა **0,4** წამით გააუმჯობესა ამერიკელი მელვინ სთიუართის მიერ **1991** წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი: საფრანგეთის ქალაქ კანში **200** მეტრი ბატერფლაით **1.55, 22**-ში გაცურა.

*

გუშინ ნიუ-იორკში, ლონგ-აილენდზე გაშენებულ შინაქოქ ჰილზის გოლფ-კლუბში სეზონის მეორე უმთავრესი შეჯიბრი — აშშ-ის მესე (!) ღია პირველობა დაიწყო. გზა ოკეანიდან ორ კილომეტრშია გაყვანილი, რის გამოც თამაშისას მუდმივად ქრის ნიავი. შეჯიბრების დაწყებამდე ოთხი დღე გადაბმულად იწვიმა, რამაც ასპარეზობა მეტად გააძნელა. **156** მონაწილიდან **11** ევროპელია, სხვა უცხოელებში კი შარშანდელი ჩემპიონიც, სამხრეთაფრიკელი ერნი ელსიც ურევია.

*

გაჩაღდა შვეიცარიის ველოტური. პირველივე ჩქაროსნული ეტაპი მოიგო ალექს ზულემ და ორი ეტაპის ჯამშიც უსწრებს ტონი რომინგერს. მეორე ეტაპზე იტალიელმა ჯორჯე ფურლანმა გაიმარჯვა.

*

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ფორმულა-**1**-ის ბრიტანული გუნდი — „სიმტეკი" გაკოტრდა და საჯარო წესით გაიყიდება. დავალიანების გამო გუნდმა ვერ იასპარეზა წინა უქმეებზე გამართულ კანადის დიდ პრიზზე. შარშან, სან-მარინოს დიდი პრიზის კვალიფიკაციის დროს „სიმტეკს" დაეღუპა ავსტრიელი მრბოლი როლანდ რაცენბერგერი.

*

ავსტრ[illegible]ა ლიგის მორაგბეებმა ეროვნულ დღესასწაულს — **15** ივნისს დაამთხვიეს „დამფუძნებელ შტატთა სერიალის" ბოლო, მესამე მატჩი, რომელიც ალარაფერს წყვეტდა. ბრისბენის „ლენგ პარკზე" მასპინძელმა ქვინზლენდმა [illegible] დაამარცხა ახალი სამხრეთი უელსი [illegible] და სერიალი **3-0** მოუგო.

*

ინგლისში, ეფსომის იპოდრომზე გამართული დარბი მოიგო დუბაის [illegible]რის, შეიხ მუჰამედ ალ მაჰთუმის ცხენმა „ლამტარამ", რაც არაბულად „უხილავს" ნიშნავს. შეიხს გადატრიალება მოუხდენია ბედაურების მომზადებაში — სპარსეთის ყურის სანაპიროზე გამოუზამთრებინებია, რაც ცხენებს ერთობ მოხდენიათ.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მექვევლია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29